

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქართული ენის სამსახური

მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა თარგმნით- განმარტებითი ლექსიკონი

შემდგენლები:

კახა გაბუნია
შალვა ტაბატაძე
ნინო ფერაძე

რედაქტორი ჭაბუკი ქირია
პროგრამის ხელმძღვანელი მარიკა ოძელი

თბილისი
2008

წინათქმა

საქართველო მრავალეროვანი და მულტიკულტურული ქვეყანაა; უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სკოლა და საზოგადოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოებული სწორი და ქვეყნის სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე ორიენტირებული პოლიტიკა. იმავდროულად, ქვეყანა ვალდებულია, დაიცვას სახელმწიფო ენის ინტერესები. უმცირესობათა ინტერესებისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მხარს უჭერს და მიესალმება ინიციატივებს, რომლებიც მულტილინგვური განათლების განვითარებისა და ადგილობრივ სიტუაციაზე ადაპტაციისკენა მიმართული.

ბუნებრივია, მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია საქართველოში მოქმედი პედაგოგებისათვის ხშირად გაუგებარია, ვინაიდან ეს მიმართულება ენათა სწავლებაში სრულიად ახალია. იგი ევროპაშიც სულ რამდენიმე წელია, რაც დაინერგა.

2007 წელს ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, ქართულად ითარგმნა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის ათი დოკუმენტი. ამ დოკუმენტების ქართულად თარგმნისას გამოვლენილი თანამედროვე ენობრივი ტერმინოლოგია საფუძვლად დაედო წინამდებარე ნაშრომს. მასში წარმოდგენილია მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა თარგმნითი და განმარტებითი ლექსიკონები.

პირველ ნაწილში ინგლისური ტერმინების ქართულენოვანი თარგმანია მოცემული; მეორე ნაწილში განმარტებულია ქართულენოვანი ტერმინები; ლექსიკონის განმარტებითი ნაწილი სამენოვანია: ქართული განმარტებები თარგმნილია სომხურ და

აზერბაიჯანულ ენებზეც, რათა უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ჯავახეთსა და ქვემო ქართლში – სადაც ყველაზე დიდი საჭიროებაა ბილინგვური განათლების განვითარება-დანერგვისა) ადგილობრივმა პედაგოგებმა შეძლონ საკვანძო ტერმინთა არსის გაცნობა და მათი თავისუფლად გამოყენება.

შემდგენლები სიამოვნებით მიიღებენ შენიშვნებსა და სასარგებლო რჩევებს ლექსიკონის შემდგომი დახვეწისათვის.

მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა ინგლისურ-ქართული თარგმნითი ლექსიკონი

Ability - უნარი, შეძლება

Academic quality - აკადემიური ხარისხი

Accent - აქცენტი

Accommodation - აკომოდაცია

Accreditation - აკრედიტაცია

Accuracy - სიზუსტე

Achievment - მიღწევა

Acquisition - დაუფლება

Acrolect - აკროლექტი

Action-research - სასკოლო პრაქტიკაზე დაკვირვება

Actions - აქტივობები

Active Bilingualism - აქტიური ბილინგვიზმი

Active listening - აქტიური მოსმენა

Activity - აქტივობა

Adaptation - ადაპტაცია

Addressee - ადრესატი

Adjustment - შეგუება

Adresant - ადრესანტი

Aid - დახმარება

ALTE - ევროპაში ენების ტესტირების ასოციაცია

Ambilingual - ამბილინგვური

Analise - ანალიზი

Anchor - მაკავშირებელი, განმამტკიცებელი

Anchor item - შემაკავშირებელი დესკრიპტორი

Announcement - განცხადება

Anthrolinguistics - ანთროლინგვისტიკა

Anthropological linguistics - ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა

Antilanguage - ანტიენა

Application - გამოყენება

Approach - მიდგომა

Appropriacy - შესაბამისობა, ადეკვატურობა

Areal Linguistics - არეალური ლინგვისტიკა

Argument - არგუმენტი

Article - სტატია

Articulation - არტიკულაცია

Assessment - შეფასება²

Assessor - შემფასებელი, დამსწრე

- Assimilation** - ასიმილაცია
- Asymmetric Bilingualism** - ასიმეტრიული ბილინგვიზმი
- Attitude** - დამოკიდებულება
- Audience** - მაცურებელი
- Audio-visual** - აუდიო-ვიზუალური
- Aural Perception** - აურალური აღქმა
- Authing syllabus** - საავტორო სილაბუსი
- Autochthonic languages** - ავტოქთონური ენა
- autochthonic** - ავტოქთონი
- Autonomic (learning)** - ავტონომიური (სწავლა)
- Autonomy** - ავტონომიურობა
- Awareness** - გათვითცნობიერებულობა, ინფორმირებულობა, საქმის კურსში ყოფნა
- Bachelor Level** - ბაკალავრიატი
- Bachelor** - ბაკალავრი
- Background** - ბექგრაუნდი, წინაპირობა, ფონი
- Bands** - მწკრივები
- Basic interpersonal communicational skills** - საბაზო ინტერპერსონალური საკომუნიკაციო უნარები (სიკუ)
- Basic language** - ბაზისური ენა
- Basilect** - ბაზილექტი
- Benchmarking** - სამიზნე მაჩვენებელი
- Bilingual education** - ბილინგვური განათლება / ორენოვანი განათლება
- Bilingual programs** - ბილინგვური პროგრამები
- Bilingual** - ბილინგვი, ორენოვანი
- Bilingual** - ბილინგვური, ორენოვანი
- Bilingualism** - ბილინგვიზმი, ორენოვნება
- Brain storm** - გონებრივი იერიში
- Breakthrough (A1 level)** - ენის გასაღები (A1 დონე)
- Brevity** - შემოკლება
- Calque** - კალკი
- Case studies** - კონკრეტული მაგალითების მიმოხილვა
- Category** - კატეგორია
- Certification** - სერიფიცირება
- Clarity** - სიცხადე
- Classic language** - კლასიკური ენა
- Code modification** - კოდის ცვლა
- Code** - კოდი, კოდირება
- Codification** - კოდიფიკაცია
- Cognitive skills** - გონებრივი ჩვევები

- Cognitive** - კოგნიტური
- Cognitive-Academic Language Skills** - კოგნიტურ-აკადემიური ენობრივი უნარები (კალუ)
- Colloquial** - ხალხური გამო-ნათქვამები
- Command** - ბრძანება
- Comment** - კომენტარი
- Commenting** - კომენტირება
- Common European Framework of Languages** - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები
- Common European Framework's illustrative scales** - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების საილუსტრაციო სკალა
- Common reference level** - ენის ფლობის ზოგადი დონე
- Communication competences** - კომუნიკაციური კომპეტენციები
- Communication grammar** - კომუნიკაციური გრამატიკა
- Communication skills** - კომუნიკაციური უნარ-ჩვევები
- Communication-** კომუნიკაცია
- Communicative Approach** - კომუნიკაციური მიდგომა
- Communicative** - კომუნიკაციური
- compensating** - მაკომპენსირებელი
- Competence** - კომპეტენცია
- Component** - კომპონენტი
- Composition** - კომპოზიცია, შემადგენლობა
- Comprehension** - აღქმა
- Conflict of languages** - ენათა კონფლიქტი
- Connectors** - მაკავშირებლები
- Connotation** - კონოტაცია
- Constraint** - შეზღუდვა
- Construct** - ფაქტორი
- Contact linguistics** - კონტაქტური ლინგვისტიკა
- Contact linguistics** - ლინგვისტიკური კონტაქტოლოგია
- Content** - შინაარსი
- Content of the program** - პროგრამის შინაარსი
- Content-based second language teaching** - მეორე ენის სწავლება შინაარსზე დაფუძნებით
- Context** - კონტექსტი
- Contrast analysis** - კონტრასტული ანალიზი
- Contrlanguage** - კონტრენა
- Convergence** - კონვერგენცია
- Convergence** - თანხვედრა

Conversation - საუბარი	Diagram - დიაგრამა
Co-operative - თანამშრომლობითი	Dialect - დიალექტი
Correlation - თანაფარდობა, კორელაცია	Dialect - კილო
Course design - კურსის გეგმა, მონახაზი	Dialog - დიალოგი
Creol language - კრეოლური ენა	Diasystem - დიასისტემა
Creolization - კრეოლიზაცია	Dictation - კარნახი
Criteria - კრიტერიუმი	Didactic method - დიდაქტიკური მეთოდი
Crosscultural - კულტურათშორისი	Difficulty value - სირთულის ხარისხი
Cue - ნიშანი, სიგნალი	Diglossia - დიგლოსია
Cultural identity - კულტურული იდენტურობა	Discourse competence - დისკურსული კომპეტენცია
Cultural Inversion - კულტურული ინვერსია	Discourse - დისკურსი
Culture - კულტურა	Discrimination - დისკრიმინაცია
Curriculum - კურიკულუმი, სასწავლო გეგმა	Discussion - განხილვა, დისკუსია
Database - მონაცემთა ბაზა	Distance learning (E-learning) - დისტანციური სწავლება
Deduction - დედუქცია	Divergention - დივერგენცია
Definiteness - განსაზღვრულობა	Division - სამმართველო
Degree - ხარისხი	Domain - დომეინი
Demonstration - დემონსტრირება	Dominant language - დომინანტური (დომინანტი) ენა; ენა-დომიმანტი
Description - აღწერა	Dossier - დოსიე
Descriptor bank - დესკრიპტორთა ბაზა	Draft - პროექტი
Diagnostic evaluation - დიაგნოსტიკური შეფასება	Ecolect - ეკოლექტი
	Ecolinguistics - ეკოლინგვისტიკა
	Education - განათლება

- Educational system** - განათლების სისტემა
- Effect** - ეფექტი, გავლენა
- Effective Communication** - ეფექტური კომუნიკაცია
- Effectiveness (C1 level)** - ენის პროფესიონალური ფლობის დონე (C1)
- Efficiency** - ეფექტური
- Elementary level (A)** - ელემენტარული დონე (A)
- Enclave** - ანკლავი
- Endemic languages** - ენდემური ენა
- Environment** - გარემო
- Environment** - ჰომოფონური სწავლის გარემო
- Equating** - გატოლება
- Equipment** - აღჭურვილობა
- Error analysis** - გადაცდომათა ანალიზი
- Error** - გადაცდომა, შეცდომა
- Ethnolect** - ეთნოლექტი
- Ethnolinguistic situation** - ეთნოლინგვისტური სიტუაცია
- Ethnolinguistic viability** - ეთნოლინგვისტური სიცოცხლისუნარიანობა
- Ethnolinguistics** - ეთნოლინგვისტიკა
- Ethnonational language** - ეთნონაციონალური ენა
- Ethnosociolect** - ეთნოსოციოლექტი
- European Charter on Regional and Minority Languages** - რეგიონული ენების ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია
- European Language Portfolio (ELP)** - ევროპული ენობრივი პორტფოლიო (ეეპ)
- European Year of Languages - 2001** - ენების ევროპული წელი - 2001
- Evaluation** - შეფასება¹
- Exchange** - გადაცვლა
- Execution** - ეგზეკუცია, აღსრულება
- Experience** - გამოცდილება
- Explanation** - განმარტება
- Explicit** - ზუსტი
- Expression** - გამოხატვა
- External exams** - სკოლის გარეთ გამოცდები
- Extra-linguistic** - ექსტრალინგვისტური
- Feedback** - უკუკავშირი
- Field** - სფერო
- First language** - პირველი ენა
- Flexibility** - მოქნილობა
- Flexible** - მოქნილი
- Fluency** - თავისუფლად, დაუბრკოლებლად მეტყველება

- Focus-group** - ფოკუს-ჯგუფი
- Foreign language** - უცხო ენა
- Form** - ფორმა
- Formal** - ფორმალური
- Forms of bilingual education** - ბილინგვური განათლების ფორმები
- Formulation** - ფორმულირება
- Framing** - ჩარჩოში ჩასმა
- Function** - ფუნქცია
- Functional competence** - ფუნქციონალური კომპეტენცია
- Functional sociolinguistics** - ფუნქციონალური სოციოლინგვისტიკა
- Game** - თამაში
- Gap** - უფსკრული
- Gender** - გენდერი
- Geographic linguistic** - გეოგრაფიული ლინგვისტიკა
- Geolinguistics** - გეოლინგვისტიკა
- Glotopolitic** - გლოტოპოლიტიკა
- Goal** - მიზანი
- Goal-oriented** - მიზანმიმართული
- Grammatical competence** - გრამატიკული კომპეტენცია
- Graphization** - გრაფიზაცია
- Group** - ჯგუფი
- Guidance** - მიმართულების ჩვენება
- Guide** - გზამკვლევი
- Guidelines** - სახელმძღვანელო პრინციპები
- Heritage language** - მემკვიდრული ენა
- Heritage language** - მკვიდრი (მემკვიდრული) ენა
- Heuristic skills** - ევრისტიკული უნარები
- Host Language** - მასპინძელი ენა
- Hygiene skills** - ჰიგიენური ჩვევები
- Identification** - იდენტიფიცირება
- Identity** - იდენტურობა, იგივეობრიობა
- Idiom** - იდიომი
- Illiteracy** - გაუნათლებლობა, წერა-კითხვის უცოდინრობა
- immersion course** - იმერსიული ანუ ენის უფრო ღრმად შესწავლის კურსი
- Immersion programme** - ჩაფლობის პროგრამა
- Immersion** - იმერსია, ჩაფლობა, ჩაშვება, ჩაწვდომა
- Implementation** - იმპლემენტაცია, დანერგვა

- Independence** - დამოუკიდებლობა
- Independent (B) level** - ენის ფლობის დამოუკიდებელი (B) დონე
- Indicator** - ინდიკატორი
- Induction** - ინდუქცია
- Influence of the first language** - პირველი ენის გავლენა
- Information** - ინფორმაცია
- Institutional Bilingual Education** - ინსტიტუციონალური ბილინგვური განათლება
- Instruction** - ინსტრუქცია
- Instrument** - ინსტრუმენტი
- Intent** - მიზანი
- Interaction** - ინტერაქცია, ინტერაქტიულობა
- Interactional sociolinguistics** - ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა
- Interactive Teaching Strategies** - ინტერაქციული სწავლების სტრატეგიები
- Interactive** - ინტერაქციული
- Intercultural** - ინტერკულტურული
- Intercultural competence** - ინტერკულტურული კომპეტენცია
- Interdialect** - ინტერდიალექტი
- Interference** - ინტერფერენცია
- interlanguage** - ენათაშორისი
- Interlanguage** - ინტერენა
- interlinguistic** - ინტერლინგვისტური
- International language** - საერთაშორისო ენა
- Interpersonal** - ინტერპერსონალური
- interpretation** - ზეპირი თარგმანი, ინტერპრეტაცია
- Interview** - ინტერვიუ
- Intonation** - ინტონაცია
- Input** - ინვესტიცია, წინასწარ ჩადებული რესურსი
- Isoglossa** - იზოგლოსა
- Isolationist Educational Paradigm** - იზოლაციონისტური საგანმანათლებლო პარადიგმა
- Item-banking technique** - დესკრიპტორების ბაზის შექმნის მეთოდი
- Item** - ნებისმიერი საგანი, ერთეული. აქ დესკრიპტორი
- Jargon** - ჟარგონი
- Judgement** - განსჯა
- Key word** - საკვანძო სიტყვა, სიტყვა-გასაღები, ამომხსნელი სიტყვა
- Know-how** - ნოუჰაუ
- Knowladge** - ცოდნა
- Koine** - კოინე

- LA** - ენის დაუფლება
- Language information awareness** - ენობრივი ინფორმირებულობა
- Language teaching systemic approach** - ენის მთლიანობითი მიდგომა
- Language aims** - ენობრივი მისწრაფებები
- Language attitude** - ენები-სადმი დამოკიდებულება
- language awareness** - ენაში გაცნობიერებულობა
- Language capital** - ენობრივი კაპიტალი
- Language community** - ენობრივი ერთობა, ენობრივი კოლექტივი
- Language competence** - ენობრივი (ლინგვისტური) კომპეტენცია
- Language contacts** - ენათა კონტაქტები
- Language diversity** - ენობრივი მრავალფეროვნება, ენობრივი ნაირსახეობა
- Language ecology** - ენის ეკოლოგია
- Language education policy** - ენობრივი განათლების პოლიტიკა
- Language geography** - ენის გეოგრაფია
- Language ideology** - ენობრივი იდეოლოგია
- Language landscape** - ენობრივი ლანდშაფტი
- Language loyalty** - ენობრივი ლოიალობა
- Language minority** - ენობრივი უმცირესობა
- Language Mixture** - ენათა შერევა
- language needs** - ენობრივი მოთხოვნილებები
- Language of identity** - იდენტობის ენა, პიროვნების ენა
- Language of instruction** - ინსტრუქციის ენა
- Language pasport** - ენობრივი პასპორტი
- Language planning** - ენობრივი დაგეგმვა
- Language policy** - ენობრივი პოლიტიკა
- Language practice** - ენობრივი პრაქტიკა
- Language prestige** - ენობრივი პრესტიჟი
- Language sociology** - ენის სოციოლოგია
- Language standard** - ენობრივი სტანდარტი
- Language subsystem** - ენის არსებობის ფორმა

- Language teaching methodology** - ენის სწავლების მეთოდოლოგია
- Language user** - ენის მომხმარებელი
- Language** - ენა
- learner** - მოსწავლე, შემსწავლელი (ენის)
- Learner's autonomy** - შემსწავლელის ავტონომია
- Learning by doing** - კეთებით სწავლება
- learning** - სწავლა
- Lesson objective** - გაკვეთილის სასწავლო მიზანი
- Lesson Plan (scenario)** - გაკვეთილის გეგმა (სცენარი)
- Lesson** - გაკვეთილი
- Level** - დონე
- Levels of cognitive domain** - აზროვნების დონეები
- Lexical Competence** - ლექსიკური კომპეტენცია
- Lexical** - ლექსიკური
- Linear scale** - ლინეარული სკალა (ერთ ხაზზე განლაგებული)
- Lingua franca** - ლინგვა ფრანკა
- Lingua-cultural interference** - ლინგვოკულტურული ინტერფერენცია
- Linguaecology** - ლინგვოეკოლოგია
- Linguicide** - ლინგვიციდი
- Linguistic biography** - ენობრივი ბიოგრაფია
- Linguistic Competence** - ლინგვისტური კომპეტენცია
- Linguistic diversity** - ენობრივი (ლინგვისტური) მრავალფეროვნება
- Linguistic goodwill** - ენობრივი (ლინგვისტური) კეთილი ნება
- Linguistic market** - ლინგვისტური ბაზარი
- Linguistic repertoire** - ენის რეპერტუარი
- Linguistic situation** - ენობრივი სიტუაცია
- Linguistic** - ლინგვისტური
- Linguistica spaziale** - სივრცითი ლინგვისტიკა
- Listener** - მსმენელი
- Listening** - მოსმენა
- literacy** - განათლება, წერაკითხვა
- Literary language** - სალიტერატურო ენა (იგივე სამწიგნობრო ენა)
- Literary language** - სალიტერატურო ენა (იგივე სამწიგნობრო ენა)
- Local language** - ადგილობრივი ენა
- log** - დღიური / ჩანაწერები

- Macro Sociolinguistics** - მაკრო-სოციოლინგვისტიკა
- Marker** - მარკერი, მომნიშვნელი
- Marking** - მონიშვნა
- Mastery** - სრულყოფილი
- Mastery level (C2)** - ენის ფლობის სრულყოფილი დონე (C2)
- Matrices** - მატრიცები
- Meaning** - მნიშვნელობა
- Media** - მედია
- Mediation** - მედიაცია, შუამავლობა
- mediator** - მედიატორი, შუამავალი
- Message** - წერილი, მესიჯი
- Metacognition** - მეტაკოგნიცია
- Metacognitive knowledge** - მეტაკოგნიტური ცოდნა
- Metalinguistic competence** - მეტალინგვისტური კომპეტენცია
- Method** - მეთოდი
- Methodologies** - მეთოდოლოგიები
- Microculture** - მიკროკულტურა
- Mind map** - ინტელექტ-რუკა
- Minority language** - უმცირესობათა ენა, ენობრივი უმცირესობა
- Minority protection convention** - ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონვენცია
- Miscomprehension** - ალუქმელობა
- Mistake** - შეცდომა
- Model** - მოდელი
- Models of Bilingual education** - ბილინგვური განათლების მოდელები
- Moderation** - მოდერაცია
- Module** - მოდული
- Monitoring** - მონიტორინგი
- Monolingual** - ერთენოვანი, მონოლინგვური
- Monolingualism** - ერთენოვნება
- Monologue** - მონოლოგი
- Mother tongue** - დედაენა
- Mother tongue** - მშობლიური ენა
- Motivation to learn** - სწავლის მოტივაცია
- Motivation** - მოტივაცია
- Motor skills** - მოტორული ჩვევები
- Multicultural repertoire** - მულტიკულტურული რეპერტუარი
- Multicultural society** - მულტიკულტურული საზოგადოება

- Multilingual competence** - მულტილინგვური კომპეტენცია
- Multilingual education** - მულტილინგვური განათლება
- Multilingual** - მრავალენოვანი, მულტილინგვური
- Multilingualism** - მრავალენოვნება, მულტილინგვიზმი
- Multiplicator** - მულტიპლიკატორი
- National language** - ეროვნული ენა
- National minority** - ეროვნული უმცირესობა (მინორიტეტი)
- Native Language** - მშობლიური ენა
- Native** - მკვიდრი, აბორიგენი
- Non-verbal communication** - არავერბალური კომუნიკაცია
- Non-written languages** - უმწერლობო ენები
- Objective** - მიზანი, ამოცანა
- Official language** - ოფიციალური ენა
- Oral** - ზეპირი
- Ordinary language** - ჩვეულებრივი ენა
- Orthography** - ორთოგრაფია
- Orthographic competence** - ორთოგრაფიული კომპეტენცია
- Outcome** - შედეგი
- Output** - მიღებული შედეგი, კოკონკრეტული ხელშესახები პროდუქტი
- Overall** - ზოგადად, ზოგადი
- Paradigm** - პარადიგმა
- Paralinguistics** - პარალინგვისტიკა
- Paraphrase** - პერიფრაზი
- Partial language learning** - შერჩევითი სწავლა
- Passive Bilingualism** - პასიური ბილინგვიზმი
- Path** - გზა, ბილიკი
- Patua** - პატუა
- Pearson product moment correlation coefficient** - პირსონის (Pearson) პროდუქტის მომენტის კორელაციის კოეფიციენტი
- Pedagogics** - პედაგოგიკა
- Peer-assessment** - ამხანაგების შეფასება
- Performance** - წარმოდგენა, სპექტაკლი
- Phonological competence** - ფონოლოგიური კომპეტენცია
- Phrase** - ფრაზა
- Pidgin** - პიჯინი

- Pidginization** - პიჯინიზაცია
- Planning** - დაგეგმვა
- Pluralistic Educational Paradigm** - პლურალისტური საგანმანათლებლო პარადიგმა
- Pluricultural** - პლურიკულტურული / მრავალკულტურული
- Plurilingual repertoire** - მრავალენოვანი რეპერტუარი
- Plurilingual** - პლურილინგუური / მრავალენოვანი
- Plurilingualism** - პლურილინგვიზმი / მრავალენოვნება
- Point of reference** - ათვლის წერტილი
- Point** - წერტილი, არსი, აზრი
- Points of encounter** - გადაკვეთის წერტილები
- Poliglosy** - პოლიგლოსია
- Poliglot** - პოლიგლოტი
- Polilingualism** - პოლილინგვიზმი, მრავალენოვნება
- Portfolio** - პორტფოლიო
- Pragmatic competences** - პრაგმატული კომპეტენციები
- Pragmatics** - პრაგმატიკა
- Presentation** - პრეზენტაცია
- Principle language** - პრინციპული ენა
- Production** - პროდუცირება
- Productive Skills** - პროდუქტიული უნარები
- Proficient (C) level** - მაღალკვალიფიციური (C) დონე
- Progress** - პროგრესი
- Project** - პროექტი
- Psycholinguistic** - ფსიქოლინგვისტური
- Purpose** - მიზანი
- Question** - შეკითხვა
- Reading** - კითხვა
- Recall** - გახსენება
- Receiver** - მიმღები
- Reception skills** - რეცეფციული უნარები
- Reception** - რეცეფცია (რეცეფციული უნარები)
- Recipient** - მიმღები
- Recognition** - აღიარება
- Recording** - ჩაწერა
- Reference point** - ათვლის წერტილი
- Reflect on** - გაანალიზება
- Reflection tool** - რეფლექსიის / თვითშემეცნების საშუალება
- Reflection** - თვითშემეცნება
- Reflective Thinking** - თვითშემეცნება ანუ რეფლექსიური აზროვნება
- Regiolect** - რელიგიოლექტი
- Regulation** - რეგულაცია

Relevance - შესაბამისი, რე- ლევანტური	Self-assessment - თვითშე- ფასება
Repair (action) - შეკეთება	Self-directed teaching - თვით- მიმართული სწავლება
Repertoires - ნაკრებები	Self-evaluation - თვითშე- ფასება
Replication - კოპირება	Semantic Competence - სემან- ტიკური კომპეტენცია
Report - ანგარიში	Semantic - სემანტიკა
Resources - რესურსი	Semilinguism - სემილინ- გვიზმი
Response - პასუხი	Sentence - წინანდადება
Retelling - ხელმეორედ მო- ყვლა	Sertification - სერტიფიცირება
Rewriting - ხელახლა დაწერა	Simulation - სიმულაცია
Role - როლი	Situation - სიტუაცია
Savoir apprendre - სწავლის უნარი	Six level sistem of CEFR - ენათა ფლობის ექვსდონიანი სისტემა
Savoir - დეკლარაციული ცოდნა	Skill - ჩვევა, უნარი, უნარ- ჩვევა
Savoir-entre - ეგზისტენცი- ური კომპეტენციები	Skillfulness - უნარიანობა
Savoir-faire - უნარები და ნოუ- ჰაუ	SLA - მეორე ენის დაუფლება (მედ)
Scaffolding - სკაფოლდინგი	Slang - სლენგი, სალაპარაკო ენა, ჟარგონი
Scalability - გრადუირების უნარი	Social - სოციალური
Scale values - მაჩვენებლები	Social Cognition - სოციალური კოგნიცია
Scales - სკალები	Social dialects - სოციალური დიალექტები
Scholarship - განათლებუ- ლობა	Social Integration - საზოგა- დოებრივი ინტეგრაცია
Score - ციფრი, მაჩვენებელი	
Second language acquisition (SLA) - მეორე ენის ათვისება (მეა)	
Second Language - მეორე ენა	

- Social Representation** - სოციალური რეპრეზენტაცია
- Social skills** - სოციალური უნარ-ჩვევები
- Society** - საზოგადოება
- Sociolinguistic Competence** - სოციოლინგვისტური კომპეტენცია
- Sociolinguistics of the society** - საზოგადოების სოციოლინგვისტიკა
- Sociolinguistics** - სოციოლინგვისტიკა
- Source** - წყარო
- Speaker** - სპიკერი
- Speaking and listening** - ზეპირმეტყველება
- Speaking skills/competences** - სამეტყველო უნარები/კომპეტენციები
- Speaking** - ლაპარაკი
- Specification** - დაკონკრეტება
- Speech behaviour** - სამეტყველო ქცევა
- Speech collective** - სამეტყველო კოლექტივი
- Speech community** - სამეტყველო ერთობა
- Speech production** - მეტყველების გამომუშავება, მეტყველების პროდუცირება
- Speech** - სიტყვით გამოსვლა
- Spoken** - ნათქვამი
- Sport Skills** - სპორტული ჩვევები
- Spread code** - გავრცობილი კოდი
- Standard** - სტანდარტი
- Standardization** - სტანდარტიზაცია
- State Language** - სახელმწიფო ენა
- Statement** - განაცხადი, განცხადება
- Stereotype** - სტერეოტიპი
- Strategy** - სტრატეგია
- Structure** - სტრუქტურა
- Student-oriented teaching approach** - შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება
- Study** - სწავლა
- Style** - სტილი
- Subculture** - სუბკულტურა
- Subject Curriculum** - საგნობრივი სტანდარტი
- Subject program** - საგნობრივი პროგრამები
- Substitution** - შეცვლა
- Substrat** - სუბსტრატი
- Summative** - სუმატული
- Superstrat** - სუპერსტრატი
- Syllabus** - სილაბუსი
- Systemic Bilingual Education** - სისტემური ბილინგვური განათლება
- Table** - მაგიდა, ცხრილი

Target group - მიზნობრივი ჯგუფი	Total immersion - აბსოლუტური ჩაფლობა
Target - მიზანი	Total Physical Response - სრული ფიზიკური რეაქცია
Task - დავალება	Training - ტრენინგი
Taxonomy - ტაქსონომია	Transaction - ტრანსაქცია
Teacher trainer - მასწავლებელთა ტრენერი	Transfer - ტრანსფერი
Teacher's Guide - მასწავლებლის წიგნი	Translation - თარგმანი
Teaching Methods - სწავლების მეთოდები	Understanding - გაგება
Teaching Strategies - სწავლების ხერხი	User - მომხმარებელი
Teaching - სწავლება	Validity - ვალიდურობა
Teaching-learning environment - სასწავლო გარემო	Vantage (B2 level) - ზღვრული განვითარებული დონე (B2)
Teaching-learning result - სასწავლო შედეგი	Variation - ვარირება
Test - ტესტი	Variety - ვარიანტი
Testing - ტესტირება	Verbal communication - ვერბალური კომუნიკაცია
Text - ტექსტი	Verbal or linguistic repertoire - ენობრივი რეპერტუარი
Textbook - მოსწავლის წიგნი	Visual Aid - თვალსაჩინოება
Thematic Poster - თემატური პოსტერი	Vocabulary - ლექსიკონი
Thematic - თემატიკა	Waystage (A2 level) - ენის საფუძველი (A2 დონე)
Theme - თემა	Weak Model of Bilingual Education - ბილინგვური განათლების სუსტი მოდელი
Threshold level - ზღვრული (B1) დონე	Writing - წერა
Titular language - სატიტულო ენა	Written Language - სამწერლობო ენა
To contact languages - ენათა დაკავშირება	Written - წერითი
Tolerance - ტოლერანტობა	Zone of Proximal Development (ZDP) - განვითარების უახლოესი ზონა (გუზ)
Tolerant language - ასატანი ენა	
Tone - ტონი	
Topic - საკითხი	

მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

აბორიგენი – საზოგადოების წევრი, რომელიც ცხოვრობს რომელიმე გეოგრაფიულ რეგიონში და დაკავშირებულია ამ რეგიონთან მჭიდრო ისტორიულ-გენეტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით; იგივეა, რაც ავტოქთონი მოსახლეობა. როგორც წესი, აბორიგენს უწოდებენ ამა თუ იმ რეგიონის ისტორიულად დაფიქსირებულ პირველ მოსახლეობას (ამის მაგალითია ავსტრალიელი აბორიგენები, ამერიკელი ინდიელები...).

აბსოლუტური ჩაფლობა – მეორე ენის სწავლების სტრატეგია: სწავლების/ინსტრუქციის ენა არის მოსწავლისთვის მეორე (ე2), ან უცხო ენა(ე3). მშობლიურ ენას (ე1) კი არანაირი სტატუსი არ აქვს.

ადაპტაცია – ეთნიკური კულტურის/ენის მატარებლის (მატარებელთა კოლექტივის) მორგება სხვა ენობრივ-კულტურული გარემოს პირობებთან. განარჩევენ ენობრივ, სოციალურ, კულტურულ ადაპტაციას.

ადგილობრივი ენა – ადგილობრივი მოსახლეობის ენა, რომელიც ძირითადად შინაურულ ურთიერთობებში გამოიყენება.

ადრესანტი – მოსაუბრე (ოპოზიციაში „მოსაუბრე მსმენელი“); ისევე, როგორც ადრესატი, კომუნიკაციური სიტუაციის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

ადრესატი – ვისაც მიმართავს მოსაუბრე, კომუნიკაციური სიტუაციის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი; იხ. ადრესანტი.

ავტონომიური (სწავლა) – იხ. თვითმართული (სწავლა)

ავტონომიურობა – ენის სტანდარტიზებული (იხ. სტანდარტიზაცია) და კოდიფიცირებული (იხ. კოდიფიკაცია) სახესხვაობის, მისი არსებობის ფორმის თვისება. ავტონომიურია ენის არსებობის ის ფორმა, რომელიც არ არის დამოკიდებული ენის სხვა რომელიმე სახესხვაობაზე სოციალური, კულტურული ან საგანმანათლებლო თვალსაზრისით.

ავტოქთონი – მოცემული ქვეყნის/რეგიონის ძირეული მოსახლეობის წარმომადგენელი; იგივე **აბორიგენი**.

ავტოქთონური ენა – მოცემულ ტერიტორიაზე ძირძველი, მკვიდრი მოსახლეობის ენა.

აზროვნების დონეები – ბ. ბლუმის თეორიის მიხედვით, გამოყოფენ აზროვნების შემდეგ დონეებს: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურებს

ქმნიან, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება აზროვნების ქვედა დონეში მოიაზრება, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – აზროვნების ზედა დონეში.

აკადემიური ხარისხი – ენიჭება პირს უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის ამა თუ იმ (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) საფეხურის დამთავრებისას. აკადემიური ხარისხის მინიჭების სისტემა განსხვავებულია ქვეყნებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით. 2001 წლიდან ევროპაში აკადემიური ხარისხის მეტ-ნაკლებად ერთიანი სისტემა (ბოლონიის პროცესი) შეიქმნა, რომლის მიხედვითაც ევროპის ძირითადი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლები კურსდამთავრებულებს შესაბამისი საფეხურის დამთავრების შემდეგ სამი ტიპის სამეცნიერო ხარისხს ანიჭებენ: ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის. საქართველო 2005 წლიდან შეუერთდა ბოლონიის პროცესს.

აკომოდაცია – პროცესი, რომლის დროსაც მოსაუბრე შეგნებულად უცვლის სახეს თავის აქცენტს, დიალექტს, რეგისტრს სხვა მოლაპარაკეთა მეტყველების მიხედვით. აკომოდაციის 2 სახეს გამოყოფენ: კონვერგენციას და დივერგენციას.

აკრედიტაცია – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება.

აკროლექტი – ენის ყველაზე პრესტიჟული ვარიანტი მის სხვა სახესხვაობებთან შედარებით. ტერმინი შემოღებულია ამერიკელი ენათმეცნიერის დერეკ ბიკერტონის მიერ.

ამბილინგვური – ლათ. *ambo* „ორივე“; იგულისხმება ორი ენიდან ორივე; იხ. **ორენოვნება**.

ანალიზი – სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში. მასში იგულისხმება: ა) მასალის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა: ნაწილების შედარება-შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვა; ბ) მოვლენის მიზეზის ახსნა; გ) პროცესის კანონზომიერების გამოვლენა; დ) მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა.

ანკლავი – სხვა ენობრივ გარემოცვაში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფი.

ანტიენა – მარგინალური (ან მარგინალიზებული) ჯგუფის სამეტყველო თავისებურებათა ერთობლიობა,

რომელიც გაუგებარი უნდა იყოს საზოგადოების დანარჩენი წევრებისათვის და რომელიც ერთგვარი პროტესტის, ანტაგონისტური ნიშანთვისების მატარებელია. ანტიენის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე ტერმინი **კონტრენა**.

ანთროლინგვისტიკა – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ეთნოლინგვისტიკურ პრობლემატიკას გაფართოებული თვალსაზრისით; იხ. **ეთნოლინგვისტიკა**.

ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა – იხ. **ანთროლინგვისტიკა**
არავერბალური კომუნიკაცია – კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე (პოზა, მიმიკა, ქესტიკულაცია, პაუზები, ხმის ინტონაცია და სიმალის ცვლილება, სქემა, დიაგრამა, სხვადასხვა შრიფტი); იგი მოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას, რომელიც თან ახლავს და ავსებს სიტყვიერ ინფორმაციას. არავერბალური სიგნალები მიგვითითებს იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სიტყვების მნიშვნელობის გაგება.

არეალური ლინგვისტიკა – შეისწავლის ენობრივი მოვლენების გავრცელებულობას სივრცითი განფენილობისა და ენათა (დიალექტთა) ურთიერთქმედების თვალსაზრისით.

ასატანი ენა – ენა, რომელიც არც აკრძალულია და არც წახალისებული, ანუ, მისი არსებობის შესახებ იციან, თუმცა ოფიციალურად იგნორირებულია.

ასიმეტრიული ორენოვნება (ბილინგვიზმი) – ბილინგვიზმის ტიპი, რომელიც ვითარდება ასიმეტრიული

(ფუნქციურად უთანასწორო) ურთიერთობის დროს განსხვავებულ ენებს შორის (მაგალითად, ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებში რუსულენოვანი მოსახლეობა ავტოქთონი მოსახლეობა).

ასიმილაცია – სხვა ხალხის ენისა და ტრადიციების სრული შეთვისება. ასიმილაცია შესაძლოა იყოს ნებაყოფლობითი (როდესაც ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი ნებაყოფლობით ამბობს უარს თავის ეროვნულ თვითმყოფადობაზე) და ძალადობრივი (როდესაც ერთი ეთნიკური ჯგუფი ცდილობს საკუთარი ენა და ტრადიციები იძულებით თავს მოახვიოს სხვას).

აურალური აღქმა – სმენითი აღქმა.

აქცენტი – მხოლოდ წარმოთქმის თავისებურებებით გამორჩეული და ტერიტორიულად ან სოციალურად განპირობებული სახესხვაობა ენისა. ამ მნიშვნელობით აქცენტი ძირითადად ინგლისურენოვან სოციოლინგვისტიკურ ლიტერატურაში გამოიყენება.

აქტიური ბილინგვიზმი – ორენოვნების (ბილინგვიზმის) ერთ-ერთი სახეობა, რომლის დროსაც მოლაპარაკე ფლობს ტექსტის შექმნის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმების) უნარს მეორე ენაზე – საპირისპიროდ პასიური ბილინგვიზმისა.

აქტიური მოსმენა – ეფექტური კომუნიკაციის საფუძველი, რომლის დროსაც მსმენელი ამახვილებს

ყურადღებას მოსაუბრესა და მის ნათქვამზე. კარგ მსმენელს უნდა შეეძლოს მოსმენილის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. ეს ნიშნავს იმას, რომ მან კარგად გაიგო სხვისი ნათქვამი. ამისათვის აქტიურმა მსმენელმა უნდა დაამყაროს უკუკავშირი მოსაუბრესთან კითხვების საშუალებით, რათა დააზუსტოს, ერთი მხრივ, გადმოცემულის შინაარსი და, მეორე მხრივ, მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება საკითხისადმი. გარდა ამისა, აქტიური მოსმენისათვის აუცილებელია მოსმენის გარე და შიდა ფაქტორების გაცნობიერება.

აქტივობა – მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეთა ქმედება, რომელიც სასწავლო მიზნის მიღწევას ემსახურება. მიზნიდან გამომდინარე, მასწავლებელმა შეიძლება დაგეგმოს ერთი ან რამდენიმე აქტივობა და, ასევე, მათი ჩატარების თანამიმდევრობა. აქტივობა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ შენარჩუნდეს მოსწავლეთა ინტერესები და მოტივაცია. აქტივობების დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ცოდნა და უნარები, მათი შესაძლებლობები და გამოცდილება.

ბაკალავრი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი

საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც, ძირითადად, ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

ბაზილექტი – ყველაზე დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ვარიანტი, ლექტი, აკროლექტისაგან ყველაზე განსხვავებული. ტერმინი შემოღებულია ამერიკელი ენათმეცნიერის დ. ბიკერტონის მიერ.

ბაზისური ენა (ენა-ლექსიფიკატორი) – პოსტკრეოლური კონტინუუმის სიტუაციაში; ენა, რომლისგანაც წარმოიშვა მოცემული კრეოლური ენა.

ბილინგვი – (1) ადამიანი, რომელიც ერთდროულად ორ ენას ფლობს, რომელთაგან „პირველი ენა“ (მშობლიური ენა) მას ათვისებული აქვს ბავშვობაში, ოჯახში (როგორც წესი, ეთნიკური ენა); მეორე ენა მოგვიანებით შეისწავლება (ზოგჯერ – ერთდროულად); უმეტესად, მეორე ენის კომუნიკაციური კომპეტენცია ჩამორჩება პირველისას (მშობლიურისას). (2) ტერმინი

ზოგჯერ გამოიყენება ინდივიდის აღსანიშნავად, რომელიც ერთდროულად ორ ენას ფლობს.

ბილინგვიზმი – იხ. ორენოვნება.

ბილინგვური განათლება – იხ. ორენოვანი განათლება.

ბილინგვური განათლების ფორმები – ესაა: ადრეული, საშუალო და გვიანი. პირველი იწყება სკოლამდელ ასაკში, ბოლო – არაუგვიანეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროს კლასებში ან უმაღლეს სასწავლებელში, საშუალო კი სადღაც მათ შორისაა.

ბილინგვური განათლების მოდელები – პირველადი კლასიფიკაცია ეყრდნობა ბილინგვური განათლების მიზნებს.

ა. ბილინგვური განათლების სუსტი მოდელები განიხილავს ბილინგვიზმს არა როგორც მიზანს, არამედ როგორც გარდამავალ სტადიას მონოლინგვიზმ ე1-სა და მონოლინგვიზმ ე2-ს შორის. ზოგადად, ასეთ მოდელებს უწოდებენ გარდამავალს;

ბ. ძლიერი მოდელების მიზანია ორ და მეტენოვანი განათლება. სხვა სიტყვებით რომ თქვათ, ეს მოდელები განიხილავს მრავალენოვნებას, როგორც ფასეულ რესურსს და წარმოადგენს ინსტრუმენტს მის მისაღწევად.

ბილინგვური პროგრამები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, რომელთა მიზანს წარმოადგენს:

ა. საგანთა სწავლება როგორც მშობლიურ, ისე მეორე ან მესამე ენაზე;

ბ. ევროპის საბჭოს განცხადებაში ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად, მოსწავლეებში „დამატებითი“ ბილინგვიზმის გარკვეული დონის განვითარება.

გაგება – განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, იგი გულისხმობს ნასწავლი მასალის მნიშვნელობის წვდომას; კერძოდ: ა) ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების საკუთარი სიტყვებით აღწერას; ბ) ტექსტის ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით ახსნას მშობლიურ ენაზე; გ) ტექსტის შინაარსის გაგებაზე მიმართულ კითხვაზე პასუხის გაცემას; დ) სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანას; ე) შესაბამისი მაგალითის მოყვანას; ვ) საგნების, მოვლენების, პროცესებისა და სტილის თვალსაჩინო ნიშნით დახარისხებასა და დაჯგუფებას.

გადაცდომა – ინგლისურ ენაში შეცდომა აღინიშნება ორი სიტყვით: *mistake* და *error*. ამათგან მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია იყენებს *error*-ს, მასში გარკვეულ შინაარსს დებს და, ამდენად, ეს ტერმინი არა მარტო შინაარსით, არამედ ლექსიკურადაც განსხვავებულია *mistake*-სგან.

რადგან ქართულად ამ სიტყვებს შეცდომა შეესაბამება, error ტერმინის აღსანიშნად იყენებენ გადაცდომას.

გადაცდომათა ანალიზი – ენის სწავლებისა და შესწავლის პროცესში გადაცდომათა ანალიზი არის უცხო/ მეორე ენის შემსწავლელის მიერ ნაწარმოებ მიუღებელ ფორმათა გამოცნობის, დაჯგუფებისა და სისტემური ახსნის ტექნიკა, რაც იყენებს ლინგვისტოთაგან შემოთავაზებულ ნებისმიერ პრინციპსა და წესს. ამგვარი გადაცდომანი სისტემურად ასახვენ შემსწავლელის მიერ მიღწეული ცოდნის დონეს; ისინი განსხვავდებიან შეცდომებისაგან, რომელთა გამოსწორებას შეძლებდა თავად შემსწავლელიც.

გაკვეთილი – სწავლისათვის განკუთვნილი დროის სტრუქტურირებული პერიოდია. არსებობს გაკვეთილის სხვადასხვა ფორმატი. კერძოდ, (1) ერთი მასწავლებელი და ბევრი მოსწავლე; (2) კერძო მეცადინეობა: ერთი მასწავლებელი და ერთი მოსწავლე; (3) ფორმალური სწავლის დრო მასწავლებლის გარეშე სახელმძღვანელოებისა და მულტიმედიის გამოყენებით; (4) ვიდეოკონფერენცია: საშუალებას აძლევს სხვადასხვა სივრცეში (ოთახში) განთავსებულ მოსწავლეებსა და მასწავლებელს, ერთობლივად წარმართონ სასწავლო პროცესი.

გაკვეთილის გეგმა (სცენარი) – მასწავლებელი ადგენს გაკვეთილის გეგმას, რომელიც განსაზღვრავს

გაკვეთილის სტრუქტურას. გაკვეთილის გეგმას გაკვეთილის სცენარსაც უწოდებენ. გაკვეთილის გეგმა მოიცავს გაკვეთილის მიზანს, შესაბამის აქტივობებს, მოსწავლეთა ორგანიზების ფორმას, დროის განაწილებას, რესურსების ჩამონათვალს და შეფასებას. გაკვეთილის ყოველი აქტივობის შესრულება (როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლისა) გაწერილი უნდა იყოს დროში. სასურველია, რომ მასწავლებელმა წერილობით შეადგინოს გაკვეთილის გეგმა, ანუ, სცენარი, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი ის, თუ რა მოხდება გაკვეთილზე: მასწავლებლის აქტივობები და მოსწავლეების მოსალოდნელი პასუხები. მაგალითად, მასწავლებელმა წინასწარ უნდა ჩამოწეროს, თუ რა შეკითხვების დასმას აპირებს, რათა მოსწავლეები აქტიურად ჩართოს დისკუსიაში. თუმცა, სიტუაციიდან გამომდინარე, მასწავლებელს წინასწარ დაწერილი გაკვეთილის სცენარის შეცვლაც (ანუ, იმპროვიზაცია) უნდა შეეძლოს; გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების წინასწარი ცოდნა, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს ერთგვაროვანი. ასევე, ის, თუ როგორ შეიძლება ამ ცოდნის ამოქმედება გაკვეთილის დაწყებისთანავე, მოსწავლეების მოტივაცია, საჭირო რესურსების არსებობა და ა.შ.

გაკვეთილის სასწავლო მიზანი – არის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელსაც უნდა მივაღწიოთ გაკვეთილის ბოლოს. სასწავლო მიზანი მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და იგი განსაზღვრავს გაკვეთილის სასწავლო აქტივობის შინაარსს. გაკვეთილის მიზანი წარმოადგენს გაკვეთილის სპეციფიკურ, გაზომვად შედეგს. სასწავლო მიზანი იწერება კონკრეტულად, მარტივად და რეალისტურად. გაკვეთილის მიზანი ქმნის როგორც მოსწავლეების პროგრესის შემოწმების, ასევე მასწავლებლის თვითშეფასების საფუძველს. ასევე, გაკვეთილის მიზნებიდან შესაძლებელია მოსალოდნელი სასწავლო შედეგების განსაზღვრა.

გამოყენება – განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, გულისხმობს ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

განათლების სისტემა – საჯარო საგანმანათლებლო ინსტიტუტების ჯგუფი, იქნება ეს ეროვნულ, რეგიონულ თუ მუნიციპალურ დონეზე. იგი არ მოიცავს საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა თუ დაწესებულებებს, როგორცაა, მაგალითად, კერძო სკოლები.

განათლებულობა – გრაფიკული სისტემის გამოყენების და წერიტი ტექსტების ინტერპრეტირება/შექმნა.

განვითარების უახლოესი ზონა (გუზ) – დაშორება განვითარების არსებულ დონესა და პოტენციურ დონეს შორის. პირველი მათგანი განისაზღვრება პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისათვის საჭირო უნარებით, ხოლო მეორე – იმგვარი პრობლემის გადაჭრის უნარებით, რომლებიც ენის უკეთ მცოდნეებთან ინტერაქციით ან მასწავლებლის დახმარებით არის შესაძლებელი. ეს ძირითადი კონცეპტი (გუზ) ხაზს უსვამს სწავლება-შესწავლის სოციალურ განზომილებას, რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მასწავლებლის, მეორე მხრივ კი ჯგუფის წევრთა როლი: მათი ცოდნა, უნარები და ცხოვრებისეული გამოცდილება.

გავრცობილი კოდი – საშუალო კლასის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი მეტყველება, რომელიც უფრო პროგნოზირებადია და გამოირჩევა უფრო რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, ვიდრე მისი საპირისპირო შეზღუდული კოდი.

გენდერი – ეს ტერმინი მეცნიერებაში სოციალური სქესის აღსანიშნავად გამოიყენება. სქესი დაკავშირებულია ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიკურ, სხეულებრივ განსხვავებებთან, ცნება „გენდერი“ კი მიუთითებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე. სქესი ბიოლოგიურად არის განსაზღვრული, გენდერი კი სოციალური და კულტურული

ფაქტორებით არის განპირობებული და აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის სოციალურად ნასწავლი ქცევების, თვისებებისა და დამოკიდებულებების ნაკრებს.

გეოგრაფიული ლინგვისტიკა – იხ. გეოლინგვისტიკა.

გეოლინგვისტიკა – მისი ამოცანაა, მეცნიერულად და ობიექტურად აღწეროს ენათა განაწილება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობის თვალსაზრისით, შეისწავლოს გზები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთზე ახდენენ ზეგავლენას, და არხები, რომლებითაც ენობრივი ფაქტორი ზემოქმედებს ეროვნული კულტურისა და მსოფლმხედველობის განვითარებაზე. მის ამოცანებში ასევე შედის იმ ფაქტორების კვლევა, რომელთაც მივყავართ ენათა ამაღლებამდე და დაცემამდე, იმ მიზნით, რომ მოხერხდეს თანამედროვე სიტუაციების პროექტირება სამომავლოდ.

გზამკვლევი – მასწავლებლებისთვის განკუთვნილი მეთოდური ხასიათის მითითებანი (მითითებების კრებული), რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს სახელმძღვანელოს სახე. გზამკვლევის ფუნქციაა, მიაწოდოს ინფორმაცია პედაგოგებს, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ამა თუ იმ პედაგოგიური რესურსით (მაგ. მოსწავლის

სახელმძღვანელო, სავარჯიშოების რვეული, აუდიო, ვიდეო თუ ინტერნეტრესურსები...).

გლოტოპოლიტიკა – იხ. **ენობრივი პოლიტიკა**.

გლოტოფაგია – ენის მიყვანა მის გადაშენებამდე, „ენის მკვლელობა“.

გონებრივი ჩვევები – ჩვევები, რომლებიც ავტომატიზებულ გონებრივ ოპერაციებს წარმოადგენენ (გამრავლების ტაბულის ზეპირი ცოდნა, აბზაცის დაცვა, სასვენი ნიშნების გამოყენება, კითხვის დროს პაუზების გაკეთება და ა.შ.).

გრაფიზაცია – ენის დაგეგმვის შემადგენელი პროცესი, რომელიც გულისხმობს მოცემული ენისათვის წერილობითი სისტემის შერჩევასა და სათანადო ორთოგრაფიული ნორმების დადგენას.

გრამატიკული კომპეტენცია – ენის გრამატიკული საშუალებების ცოდნისა და გამოყენების უნარი.

დამოუკიდებელი (B) დონე – ენის დამოუკიდებლად გამოყენებელს შეუძლია ყოველდღიური მარტივი ფორმების გამოყენება, თუმცა შემსწავლელი კვლავ შეზღუდულია გამოხატვის ფორმების ხმარებაში – გარკვეულწილად გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ენა, რომელზეც შემსწავლელი საუბრობს, არ არის მისი მშობლიური ენა.

დედაენა – ენა, რომელიც პიროვნების იდენტობის განმსაზღვრელია, მიუხედავად იმისა, ბავშვობიდან აითვისა იგი თუ არა. დედაენა მშობლიური ენის სინონიმად გამოიყენება

(თუმცა, მცირეოდენ განსხვავდება მისგან ემოციური დატვირთვით).

დესკრიპტორი – აღმწერი, იდენტიფიკატორი. დესკრიპტორებისგან შედგება ენათა ფლოზის თვითშეფასების სკალები. შემსწავლელს დესკრიპტორების მიხედვით შეუძლია საკუთარი თავის შემოწმება, თუ რა დონეზე ფლოზს ენას. დესკრიპტორის საფუძველზე შეიძლება შედგეს შესასწავლი გაკვეთილის გეგმა.

დიაგნოსტიკური შეფასება – განმავითარებელი (მიმდინარე) შეფასების კომპონენტი. დიაგნოსტიკური შეფასების დროს ხდება მოსწავლის გარკვეული მომენტისათვის არსებული ცოდნის დონის და უნარ-ჩვევების შეფასება, რათა ზუსტად დაიგეგმოს სწავლის პროცესი მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

დიაგრამა – იდეების, ცნებების, მიმართებების, კონსტრუქციების, მონაცემების გამარტივებული და სტრუქტურირებული, ვიზუალური (გრაფიკული) გამოსახვა, რომელიც ძირითადად სქემატურ ხასიათს ატარებს. მისი მთავარი დანიშნულებაა სტრუქტურის შემადგენელ ნაწილებს შორის მიმართებების წარმოჩენა, რის გამოც არ არის აუცილებელი ამ ელემენტების ზუსტი გრაფიკული ასახვა.

დიალექტი – იგივე **კილო**; ენის ტერიტორიული (ალოლექტი, გეოლექტი), დროითი (ტემპოლექტი) ან სოციალური (სოციოლექტი)

სახესხვაობა, რომელსაც ადამიანების მეტ-ნაკლებად შეზღუდული რაოდენობა მოიხმარს და თავისი წყობით (ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკური შედგენილობა თუ სემანტიკა) განსხვავდება ენობრივი სტანდარტისაგან, რომელიც თავად წარმოადგენს სოციალურად ყველაზე პრესტიჟულ (დია)ლექს. სოციოლინგვისტიკაში დიალექტს განიხილავენ, როგორც ენის სახესხვაობას ოფიციალური სტატუსის გარეშე (ან დაბალი სტატუსით); ხანდახან იგი გამოიყენება რეგიონულ და უმცირესობათა სახესხვაობებთან მიმართებით.

დიალოგი (ზეპირი ინტერაქცია) – სამეტყველო ქმედების ამ სახეობაში ენის მომხმარებელი გვევლინება ხან მოსაუბრის, ხან კი მსმენელის როლში ერთ და მეტ თანამოსაუბრესთან ურთიერთობისას. ამასთანავე, ერთობლივი ძალებით მნიშვნელობის აგების პროცესში ხდება სამეტყველო დისკურსის ფორმირება. ურთიერთობის პროცესში პერმანენტულად ხდება პროდუქტიული და რეცეფციული სამეტყველო ქმედების სტრატეგიების გამოყენება. გამოიყენება აგრეთვე კოგნიტური და ურთიერთქმედების სტრატეგიები (რომლებსაც აგრეთვე დისკურსისა და თანამშრომლობის სტრატეგიებსაც უწოდებენ).

დიასისტემა – ენა, რომელსაც ერთზე მეტი სალიტერატურო, სტანდარტული ფორმა მოეპოვება.

დიატოპიური – ენის სახეცვლილების (იხ. ვარირება) ტერიტორიული განზომილება.

დიდაქტიკური მეთოდი – სწავლების დროს ამ მეთოდის გამოყენების დროს ხდება ინფორმაციის მიწოდება დიალოგის ფორმით. მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: მოსწავლეების ინფორმირება, მათი ცოდნის გამომჟღავნება და დახვეწა. დიდაქტიკური მეთოდით მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი და პასუხობდეს კითხვებს: რა, რატომ და სად?

დიგლოსია – შედარებით სტაბილური ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ენის პირველად დიალექტებთან (მათ შორის შეიძლება იყოს ენობრივი სტანდარტი ან რეგიონული სტანდარტები) ერთად არსებობს ძალიან განსხვავებული, უაღრესად კოდიფიცირებული (ხშირად გრამატიკულად ძალიან რთული) ვარიანტი; იგი უმეტესწილად სამწერლო ენად გამოიყენება ან გამოიყენებოდა, ძირითადად ითვისებენ სასწავლო დაწესებულებებში და გამოიყენება წერითი და ოფიციალური მიზნებით. დიგლოსია, როგორც სოციოლინგვისტური სიტუაციის ფარგლებში ენობრივი ქცევა ერთგვარ სფეროებადაა გადანაწილებული; ეს სფეროები ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში იმყოფებიან: გამოიყოფა მაღალი და დაბალი სფეროები. იხ. აგრეთვე პოლიგლოსია.

დივერგენცია – აკომოდაციის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც მოსაუბრე საგანგებოდ განასხვავებს თავის მეტყველებას კომუნიკანტებისაგან სოციალური დისტანციის ან სხვა სხვაობის ხაზგასასმელად.

დისკრიმინაცია – პირის ან პირთა ჯგუფის უფლებების შეზღუდვა რაიმე ნიშნის მიხედვით (მაგ. რელიგიური, რასობრივი, სქესობრივი, სოციალური სტატუსის და ა.შ.)

დისკურსი – ფუნქციურად დასრულებული და მწყობრი საკომუნიკაციო ერთეული, ტექსტი, რომელიც განიხილება ექსტრალინგვისტურ (სოციოკულტურულ, პრაგმატულ, ფსიქოლოგიურ და მისთ.) ფაქტორებთან ერთად, როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, როგორც კომპონენტი, რომელიც მონაწილეობს ადამიანებისა და მათი კოგნიტიური პროცესების მექანიზმების ურთიერთქმედებაში.

დისკურსის კომპეტენცია – მოიცავს წინადადებაში სიტყვათა განაწილების უნარსა და ტექსტის აგებას შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით: თემა/ფოკუსი; ნაცნობი/ახალი ინფორმაცია; მოქმედების ბუნებრივი თანამიმდევრულობა; მიზეზი/შედეგი; საუბრის აგებისა და ორგანიზაციის უნარი ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების გათვალისწინებით: თემატური ორგანიზაცია; ურთიერთკავშირი და მთლიანობა;

ლოგიკური წყობა; ურთიერთობის სტილი და რეესტრი; მოსაუბრეზე გავლენა.

დისკუსია – წამყვანსა და მსმენელებს შორის ცოდნის, შეხედულებებისა და იდეების სიტყვიერი გაცვლის პროცესი. დისკუსიას მსჯელობასაც უწოდებენ. საკლასო დისკუსია ეხმარება მოსწავლეებს საკითხის ღრმა და დეტალურ განხილვაში.

დისტანციური სწავლება – მოიცავს გარკვეულ თვითმიმართულ სწავლებას, მაგრამ, როგორც წესი, შემსწავლელს საკმაოდ მკაცრად უწევს ზედამხედველობას სასწავლო მასალით. ენის დისტანციური სწავლების კურსს უმეტესად ის შემსწავლელი იყენებენ, რომლებიც კონკრეტული ენობრივი სიტუაციისაგან მოშორებით ცხოვრობენ. სწავლების ეს გზა შეიძლება სასარგებლოდ იქნეს გამოყენებული განათლების უზრუნველსაყოფად ენობრივ სახესხვაობებში, რომლებზეც არის ნაკლები მოთხოვნა, განსაკუთრებით რეგიონულ თუ მიგრანტების სახესხვაობებზე.

დომინანტური (დომინანტი) ენა – (1) ენობრივი სახესხვაობა, რომელშიც მოლაპარაკეს აქვს კომპეტენციის უმაღლესი დონე; (2) ენის სახესხვაობა, რომელიც სარგებლობს ლეგალური, სოციალური და კულტურული სტატუსით სხვა სახესხვაობებზე მეტად მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე.

ეგზისტენციური კომპეტენციები – მოიცავს ინდივიდუალურ მახასიათებლებს, პიროვნულ თვისებებსა და სხვებისადმი დამოკიდებულებას სოციალური ინტერაქციის დროს.

ევრისტიკული უნარები – ევრისტიკულ უნარებს განეკუთვნება: ა. შემსწავლელის უნარი, შეიცნოს ახალი (ახალი ენა, ახალი ადამიანები, ქვევის ახალი ნორმა და ა. შ.) და გამოიყენოს სხვა კომპეტენციები სპეციფიკურ სასწავლო სიტუაციებში; ბ. შემსწავლელის უნარი (განსაკუთრებით შესასწავლ ენაზე არსებულ საცნობარო მასალაზე მუშაობის პროცესში) გამოიყენოს შესასწავლი ენა ახალი ინფორმაციის მოძიების, გაგებისა და საჭიროების შემთხვევაში, გადაცემის მიზნით; გ. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი (მაგალითად, მონაცემთა ბაზაში, ჰიპერტექსტებში და ა. შ. ინფორმაციის მოძიება).

ევროპასი – ელექტრონული ჩარჩო, შექმნილი ევროპის საბჭოს მიერ პროფესიული უნარების გამჭვირვალობისათვის.

ევროპული ენობრივი პორტფოლიო (ეეპ) – აღიარებული დოკუმენტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება და რომელშიც ფიქსირდება ენათა შესწავლისას მიღებული მიღწევების დონე. ეეპ განვითარდა საპილოტე სტეპით 1990-იანი წლების ბოლოს და წარმოგვიდგა ფართო მიზნობრივი ჯგუფით 2001 წელს. ეს არის პერსონალური დოკუმენტი,

რომელიც საშუალებას იძლევა, მფლობელმა აჩვენოს მიღწევები და კომპეტენციები სხვადასხვა ენაში, ნებისმიერ საერთაშორისო დონეზე და დაამყაროს მნიშვნელოვანი კონტაქტები სხვა კულტურებთან. ის შედგენილია იმ მიზნით, რათა ხელი შეუწყოს მრავალენოვნებას გრძელვადიანი ენის სწავლების მოტივაციისა და მხარდაჭერის გაძლიერებით. ენობრივი პასპორტი არის ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც შეადგენს ევროპას. ეუპ-ს აქვს სამი კომპონენტი: ენობრივი პასპორტი, რომელსაც მფლობელი რეგულარულად განაახლებს მისი ენობრივი იდენტურობის აღწერის რეზიუმედ ენის სწავლაში მიღწევისა და ინტერკულტურული გამოცდილების საქმეში; ენობრივი ბიოგრაფია, რომელიც გამოყენებულია ენის შესწავლის მიზნით, ამოწმებს პროგრესს, აფასებს შედეგებს და აისახება მნიშვნელოვან ენობრივ სწავლებასა და კულტურათმორის გამოცდილებაზე; დოსიე, რომელშიც მფლობელი პიროვნული ნამუშევრის ილუსტრაციის თანამედროვე სელექციას ინარჩუნებს: ანუ, რა მიღწევები აქვს, მშობლიური ენის გარდა, სხვა ენებში.

ეთნოლექტი – ენის სახესხვაობა, რომელზეც მეტყველებს ესა თუ ის ეთნიკურ-კულტურული ქვეჯგუფი და რომელიც ფუნქციონირებს როგორც განმასხვავებელი ნიშანი ამ ქვეჯგუფის წევრთა

სოციალური იდენტობისა. ტერმინში ურთიერთშერწყმულია ეთნიკური ჯგუფისა და დიალექტის ცნებები. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ასევე ტერმინი ეთნოსოციოლოგია, რომელიც ქართველ ებრაელთა მეტყველების აღსანიშნავადაა გამოყენებული.

ეთნოლინგვისტიკა – საენათმეცნიერო მიმდინარეობა, რომელიც შეისწავლის ენას კულტურის არტეფაქტებთან უშუალო კავშირში, ნეოჰუმბოლდტიანობის ამერიკული ნაირსახეობა. უმჭიდროესადაა დაკავშირებული ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკასთან. იგი ჩამოყალიბდა აშშ-ში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

ეთნოლინგვისტური სიტუაცია – ენათა და იდიომთა არა ყოველგვარი ერთობლიობა ქმნის ენობრივ სიტუაციას; მაგალითად, აზიაში საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოიყენება იაპონური და არაბული, კორეული და სპარსული, ვიეტნამური და პაშტო და ა. შ., მაგრამ ისინი არ წარმოდგენენ ერთი ენობრივი სიტუაციის კომპონენტებს, რადგანაც ფუნქციურად არ უკავშირდებიან ერთმანეთს და გამოიყენებიან სხვადასხვა პოლიტიკურ-ტერიტორიულ გაერთიანებაში – სახელმწიფოში. ამგვარ მოვლენას ადეკვატურად აღნიშნავს სწორედ ტერმინი: ეთნოლინგვისტური სიტუაცია.

ეთნოლინგვისტური სიცოცხლისუნარიანობა – იმ სოციოლოგულკულტურულ ფაქტორთა ერთობლიობა,

რომლებიც განსაზღვრავენ ჯგუფის უნარს, რათა მან იარსებოს, როგორც განსხვავებულმა კოლექტიურმა ოდენობამ. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება დემოგრაფია, ინსტიტუციური მხარდაჭერა და სტატუსი.

ეთნონაციონალური ენა – იხ. **ეროვნული ენა**.

ეთნოსოციოლოგეტი – იხ. **ეთნოლოგეტი**.

ეკოლოგეტი – ენის სახესხვაობა, რომელზეც მეტყელებენ ერთი ოჯახის წევრები (ბერძნ. ოიკოს „სახლი“ + ლექტი). ტერმინი პირველად გაჩნდა ლიტერატურათმცოდნეობაში. ეკოლოგეტი ნეოლოგიზმია, თუმცა იოლად დაიმკვიდრა ადგილი სოციოლინგვისტიკაში.

ეკოლინგვისტიკა – იხ. **ენის ეკოლოგია**.

ელემენტარული (A) დონე – ენის ფლობის ყველაზე დაბალი დონე; კომუნიკაციის დროს ენის შემსწავლელი დამოკიდებულია თანამოსაუბრის კეთილგანწყობაზე, თუ რამდენად დაეხმარება იგი აზრის სწორად ჩამოყალიბებაში, რამდენად დროულად შეაშველებს საჭირო სიტყვას და ა.შ.

ენა – თვითორგანიზებულ და დეტერმინირებულ ფორმათა სისტემა, რომლითაც გამოიხატება (წარმოისახება) ენობრივ ფუნქციებად ტრანსფორმირებული სინამდვილე ცნობიერებისა და რომელიც საზოგადოებაში წარმოდგენილია მისი არსებობის სხვადასხვა ფორმით, ვარიანტით, ლექტით.

ენა-დომიმანტი – იხ. **დომინანტური ენა**.

ენათა ფლობის ექსდონიანი სისტემა – ზოგადევროპული ენობრივი პოლიტიკა თანამედროვე ენების შესწავლის, სწავლებისა და შეფასებისათვის ითვალისწინებს ენათა ფლობის ექსდონიან სისტემას, რომელიც იყოფა ორ სამ მსხვილ ერთეულად A, B, C, ხოლო თითოეულ მათგანში ორი ძირითადი დონე გამოიყოფა: **A. ელემენტარულად ფლობა:** ენის გასაღები (A1); ენის საფუძველი (A2); **B. დამოუკიდებლად ფლობა:** ზღვრული (B1); ზღვრული განვითარებული (B2); **C. თავისუფლად ფლობა:** პროფესიონალური (C1); სრულყოფილი (C2)

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები – სახელმძღვანელო, რომელშიც წარმოდგენილია ენათა დაუფლების დონეების, სწავლებისა და შესწავლის პროცესებისა და საშუალებებისადმი ზოგადი მიდგომა.

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების დესკრიფციული სკალა – ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები უპირატესობას ანიჭებს ენის გამოყენებისა და შესწავლის აქტივობებზე ორიენტირებულ მიდგომებს. დესკრიფციული სკალა ფოკუსირებულია პირის მიერ შესრულებულ აქტივობებზე, რომლებიც, როგორც ცალკეული ინდივიდი ან სოციალური აგენტი, ხელს უწყობს მთელი რიგი ზოგადი და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებას. ენის შემსწავლელის / მომხმარებლის ზოგადი

კომპეტენციები შედგება ოთხი ქვეკატეგორიისგან: დეკლარაციული ცოდნა (Savoir); უნარები და „ნოუ-ჰაუ“ (Savoir-faire); ეგზისტენციური კომპეტენციები (Savoir-entre); სწავლის უნარი (Savoir apprendre).

ენათა კონფლიქტი – სულ ცოტა, ორ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჯგუფის ერთმანეთისაგან განსხვავებული სტანდარტების, ფასეულობებისა და განწყობების შეჯახების შედეგად წარმოქმნილი კონფრონტაცია, რომელშიც ჩართულია ენობრივი საკითხებიც.

ენათა კონტაქტები – ტერმინი შემოღებულია ფრანგი ენათმეცნიერის ა. მარტინეს მიერ. მანამდე მეტწილად იხმარებოდა ტერმინი ენათა შერევა (ჰ. შუხარდტი); ორი ან მეტი ენა ერთმანეთთან კონტაქტშია, თუკი მათ მონაცვლეობით გამოიყენებენ ერთი და იგივე პირები.

ენათა კონტაქტირება – გამოყოფენ ენათა კონტაქტირების ორ სახეს: ა. დისტალურს – რომელიც ხორციელდება მონოლინგვიზმის პირობებში ენათა შორის მჭიდრო შეხების არარსებობისას და ბ. პროქსიმალურს – ბილინგვიზმის პირობებში ენათა შორის მჭიდრო კონტაქტის დროს, რისი შედეგიც შეიძლება იყოს არა მარტო ნასესხობანი, არამედ ერთ-ერთი ენის მოდიფიკაცია ან თვისებრივად სრულიად ახალი ენობრივი სისტემის განვითარებაც კი.

ენათა შერევა – იხ. ენათა კონტაქტირება.

ენათა ევროპული წელიწადი – 2001 წელი ორგანიზებული იყო ევროპის საბჭოსა (ენობრივი პოლიტიკის სამმართველო) და ევროპის კავშირის მიერ. ჩართული იყო 45 ქვეყანა სრული ძალისხმევით, რათა ხელი შეეწყოს ენობრივი მრავალფეროვნებისათვის და გაეზარდათ ენის სწავლების ხარისხი. წელი ხასიათდებოდა 26 000 აქტივობით, დაწყებული ენის ფესტივალიდან, შეჯიბრებებიდან და მედიამოვლენებიდან, ენის სწავლებაში ძირითად პრობლემებზე ჩატარებული კონფერენციის ჩათვლით. ენათა ევროპული წლის მიზნები იყო: ა. ევროპის მდიდარი ენობრივი მრავალფეროვნების კომპეტენტურობის ამაღლება, რომელიც აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს და რომლის ხელშეწყობაც ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა; ბ. ხელის შეწყობა ენათა სწავლებასა და ენათა სწავლებაში მრავალფეროვნებისათვის; გ. ენათა სწავლების გრძელვადიანი განვითარების ხელშეწყობა ევროპაში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებების პასუხად.

ენა-უმცირესობა – იხ. ენობრივი უმცირესობა.

ენდემური ენა – იხ. მკვიდრი ენა.

ენებისადმი დამოკიდებულება – მოიცავს კოგნიტურ (ენების მიმართ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება), ემოციურ (გრძნობა ენების მიმართ) ან ქცევით (გარკვეული ენობრივი ქცევის მიმართ

მიდრეკილება) კომპონენტებს. ამგვარად, ენებისადმი დამოკიდებულება ვლინდება ისეთ სფეროებში, როგორცაა შეფასება, ენობრივი უპირატესობა, არჩევის მიზანშეწონილობა და ამა თუ იმ ენის შესწავლის საფუძველი. ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს შემსწავლელის მოტივაციაზე, აქედან გამომდინარე კი – უშუალოდ სასწავლო პროცესზე.

ენის არსებობის ფორმა – საბჭოურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინი, რომელიც იგივეა, რაც ენის ვარიანტი, ქვესისტემა, ქვეენა, ენის სახესხვაობა.

ენის გასაღები (A1 დონე) – ითვლება ენის ფლობის ყველაზე დაბალ დონედ. ეს არის ეტაპი, რომელზეც შემსწავლელს შეუძლია ძალიან მარტივ საუბარში მონაწილეობა; პირადი ხასიათის შეკითხვების დასმა ან მათზე პასუხის გაცემა. მაგალითად, სად ცხოვრობს, ვინ არის, ახლობელი ადამიანის შესახებ ლაპარაკი; შეუძლია ნაცნობ ან მისთვის საინტერესო თემებზე საუბრის დაწყება და გაგრძელება.

ენის გეოგრაფია – იხ. გეოლინგვისტიკა.

ენის დაუფლება – პროცესი, რომლის წარმატებით წარმართვისთვის აუცილებელია, შემსწავლელის მხრიდან იყოს ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული მიდგომა. ნებისმიერი ენის დაუფლებისათვის საკმარისი არ არის საგაკვეთილო პროცესი – იმისათვის, რომ ენას

დაეუფლო, უნდა იყენებდე მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვილაპარაკოთ, ვიკითხოთ და ვწეროთ ამ ენაზე.

ენის ეკოლოგია – მიმდინარეობა სოციოლინგვისტიკაში, რომელიც სწავლობს ენის არსებობის პირობებს ადამიანთა საზოგადოებაში მისი ფუნქციონირებისათვის არსებული და შესაძლო საფრთხეების თვალსაზრისით. ლინგვისტიკაში ტერმინი დაამკვიდრა ამერიკელმა ენათმეცნიერმა ეინარ ჰაუგენმა. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ტერმინები **ლინგვოეკოლოგია** და **ეკოლინგვისტიკა**.

ენის მთლიანობითი მიდგომა – პედაგოგიკაში ნიშნავს, რომ ენას უკეთ ვსწავლობთ, როცა ის არის მთლიანი, რეალური და რელევანტური: როცა ის შინაარსობრივი და ფუნქციონალური დატვირთვისაა. ენის, როგორც მთლიანობის პრაქტიკული გამოყენება სასწავლო გარემოში რამდენიმე ძირითადი მახასიათებლით გამოირჩევა: ა. ენის ათვისების გზაზე რისკი და ექსპერიმენტი მაქსიმალურად არის წახალისებული; ბ. მოსწავლეები რეალური დანიშნულებით იყენებენ ენას მასწავლებელთან და სხვა მოსწავლეებთან ავთენტურ ინტერაქციაში. გ. მოსწავლეთა განვითარების დონე მეტყველებაში, კითხვასა და წერაში გათვალისწინებულია.

ენის პროფესიონალური ფლობის დონე (C1) – ამ დონეს აქვს ერთი ძირითადი მახასიათებელი: მისთვის მისაწვდომია ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრი. აქედან გამომდინარე, შემსწავლელს შეუძლია სწრაფად და მოუმზადებლად დაამყაროს ურთიერთობები. ყურადღება გადატანილია თავისუფალ, შეუფერხებელ მეტყველებაზე.

ენის რეპერტუარი – იხ. ენობრივი რეპერტუარი.

ენის საფუძველი (A2 დონე) – შეესაბამება საფუძვლის დონის სპეციფიკაციებს. სწორედ ამ დონეზე წარმოჩნდება იმ დესკრიპტორთა უმრავლესობა, რომლებიც ენის სოციალურ ფუნქციას ასახავს. შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიური მარტივი, მისალმებისა და მიმართვის ზრდილობიანი ფორმების გამოყენება, პირთან მისალმება, მისი ამბების გამოკითხვა და რეაგირება მიღებულ პასუხზე, საყოფაცხოვრებო ხასიათის მოკლე საუბარში მონაწილეობა, შეკითხვის დასმა ან სხვის შეკითხვაზე პასუხის გაცემა. გარდა ამისა, ამავე დონეზე ჩნდება დესკრიპტორები, რომლებიც ეხება ყოველდღიურ ყოფით თემებს. მაგალითად, მალაზიაში, ბანკში ან ფოსტაში მოქცევა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, გზის გაკითხვა ან ჩვენება, ბილეთის ყიდვა, ყოველდღიური მოხმარების საგნების ან მომსახურების მოთხოვნა.

ენის სოციოლოგია – სოციოლინგვისტიკის ნაწილი, რომლის ინტერესის სფეროში შედის შედარებით დიდი ჯგუფების ენობრივი ქცევის შესწავლა, სოციალური ფაქტორებისა და ენის ურთიერთობა, ენობრივი დაგეგმვა, ენობრივი სიტუაციის საკითხები; იგი ძალიან ახლოს დგას მაკროსოციოლინგვისტიკასა და ე. წ. საზოგადოების სოციოლინგვისტიკასთან.

ენის სწავლების მეთოდოლოგია – პრინციპებისა და კონცეფციების ერთიანი სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, დადგინდეს ენის სწავლების სტრუქტურა (შინაარსი, მასალა, ინსტრუქტირების თანმიმდევრობა, სასწავლო ღონისძიებები, ღონისძიებების თანმიმდევრობა და მისთ.).

ენის ფლობის სრულყოფილი დონე (C2) – ამ დონეს, მართალია, ენის ფლობის სრულყოფილი დონე ეწოდება, მაგრამ იგი მაინც არ ითვალისწინებს შემსწავლელის ენობრივ კომპეტენციას ენის მატარებლის დონეზე. (C2) დონე წარმოაჩენს სიზუსტესა და ენობრივ საშუალებათა დაუბრკოლებლად გამოყენების იმ ხარისხს, რომელსაც ყველაზე წარმატებული შემსწავლელი ფლობს. ამ დონის დესკრიპტორებში ვლინდება, რომ შემსწავლელს შეუძლია მნიშვნელობის ნებისმიერი ნიუანსის მაღალი ხარისხის სიზუსტით გამოხატვა.

ენობრივი ბიოგრაფია – ენობრივი პორტფოლიოს მეორე ნაწილი, რომელშიც აისახება ენის შესწავლისას მიღწეული წარმატებები, თუ ჩავარდნები. მასში შეიძლება დაიგეგმოს თუ რა დროში რის მიღწევას აპირებს შემსწავლელი და შემდეგ თვითშეფასებისა თუ მასწავლებლის შეფასების საფუძველზე დადგინდეს, რამდენად მიაღწია ენის ფლობის სასურველ დონეს.

ენობრივი დაგეგმვა – ენობრივი საკითხების მართვის ან მანიპულირების გარკვეული სახე, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ადამიანების მხრიდან შეგნებულ ჩარევას ენის მომავალში.

ენობრივი ერთობა – სოციალური, კულტურული, პოლიტიკური ან გეოგრაფიული თავისებურებებით სხვებისაგან გამორჩეული ერთობლიობა ადამიანებისა, რომლებიც საერთო ენობრივი სიტუაციის პირობებში ცხოვრობენ და სარგებლობენ ამ სიტუაციის ერთი და იმავე კომპონენტებით. სოციოლინგვისტიკის ჩამოყალიბებამდე ეს ცნება ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენებოდა (ლ. ბლუმფილდი, ნ. ჩომსკი). გარკვეული ობიექტური წინაპირობა ენობრივი ერთობის ადეკვატური სოციოლინგვისტიკური განსაზღვრისათვის შექმნა მ. ემენომ, რომელმაც ინდოეთში არსებული ენობრივი სიტუაციების შესწავლისას შემოიღო ენობრივი არეალის ცნება.

ენობრივი განათლების პოლიტიკა – ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ენის როლთან ეროვნულ და/ან კერძო სწავლებაში.

ენობრივი (ვერბალური) რეპერტუარი – მოცემულ სამეტყველო ერთობაში გამოყენებული ყველა სპეციალიზებული, სოციალური, რეგიონული და სხვა ვარიანტების ერთობლიობა ქმნის მის ვერბალურ, ანუ, ენობრივ რეპერტუარს და ასახავს მოცემულ საზოგადოებაში რეგიონულ და სოციალურ დიფერენციაციას. ვერბალური რეპერტუარი წარმოადგენს იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობას, რომელთა შორისაა როგორც ინვარიანტული, ისე ცვლადი ფორმები და რომლებიც ხელმისაწვდომია მოცემული ერთობის წევრებისათვის.

ენობრივი იდეოლოგია – ენების, მათი ღირებულებების და მათი გამოყენების შესახებ რეპრეზენტაციების, შეხედულებების, სტერეოტიპებისა და თეორიული ცნებების შეგროვება სისტემატურად ან სხვაგვარად.

ენობრივი ინფორმირებულობა – პედაგოგიური ღონისძიებები (ძირითადად გამოყენებული დაწყებით სკოლაში), რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბუნებრივი ენების საერთო ფუნქციებს სხვადასხვა ენებიდან მოყვანილ მაგალითზე.

ენობრივი კაპიტალი – კულტურული კაპიტალის (საზოგადოებრივად ღირებული ცოდნის) ქვეტიპი, რომელიც გულისხმობს ენის ფლობას

და მისადმი დამოკიდებულებას. ცნება დაამკვიდრა ფრანგმა სოციოლოგმა პ. ბურდიემ.

ენობრივი კოლექტივი – იგივეა, რაც ენობრივი ერთობა. ტერმინი ძირითადად გავრცელებულია რუსულ სოციოლინგვისტიკაში.

ენობრივი ლანდშაფტი – ამა თუ იმ ტერიტორიაზე, რეგიონსა თუ ქალაქში არსებულ საგზაო ნიშნებზე, სარეკლამო ბილბორდებზე, ქუჩების აბრეშებზე, კომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციების ფირნიშებზე გაკეთებული წარწერების ენა.

ენობრივი (ლინგვისტური) კეთილი ნება – სოციალური კულტურისა და კულტურათაშორისი აღქმის ფორმა, რომელიც იწვევს ენის ისე მიღებას, როგორც ის გამოიყენება (აქცენტით, შეცდომებით, რეგიონალიზმით) სხვა მოლაპარაკის მიერ (მკვიდრი თუ არამკვიდრი) და/ან უცნობი ენისა და მისი მოლაპარაკეების მიმღებლობა.

ენობრივი (ლინგვისტური) კომპეტენცია – (1) ერთი ან მეტი ენის სახესხვაობის გამოყენების შესაძლებლობა ურთიერთობისათვის (იხ. აგრეთვე მრავალენოვნება); ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ფართო/შეზღუდული ენობრივი კომპეტენცია. (2) შესაძლებლობა, გააანალიზო ენობრივი სახესხვაობა აღწერითი კატეგორიების მიხედვით (ტერმინი მეტალინგვისტური კომპეტენცია ამავე მნიშვნელობით გამოიყენება).

ენობრივი (ლინგვისტური) მრავალფეროვნება – სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობები ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე (იხ. მულტილინგვიზმი) ან მოლაპარაკის ენობრივ რეპერტუარში (იხ. მრავალენოვნება, მრავალენოვანი რეპერტუარი). ენობრივი სახესხვაობების დაცვა გახდა ევროპული საზოგადოების საერთო მიზანი და იქცა მათ ვალდებულად.

ენობრივი ლოიალობა – ენისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რაც განაპირობებს მის პრესტიჟს და აიძულებს მის მატარებლებს, დაიცვან ამ ენის სიწმინდე.

ენობრივი მისწრაფებები – მიმართულება, რომლითაც მოლაპარაკეები განიხილავენ იმ სახესხვაობას, რომელსაც ეუფლებიან და სურთ პროგრესის ნახვა. მაგალითად, შესაძლებელია, ისინი საკუთარ თავს მოიაზრებდნენ, როგორც ერთენოვანნი ან ორენოვანნი და დაკმაყოფილდნენ საკუთარი ენობრივი შესაძლებლობებით.

ენობრივი მოთხოვნილებები – ენობრივი სახესხვაობების იდენტიფიცირება, ყველაზე ხშირად უცხოურის და ამასთან დაკავშირებით მოთხოვნილი სახესხვაობები ყველა ტიპის ერთეულების / ინსტიტუტების (ბიზნესი, ორგანიზაციები, სახელმწიფო) მიერ იმისათვის, რათა სათანადოდ დარეგულირდეს შიდა და გარე ურთიერთობები

განსაზღვრულ კომუნიკაციურ სიტუაციებში. ეს იდენტიფიკაცია ეყრდნობა აუდიტის და ანალიზის პროცესს. ენობრივი მოთხოვნები შესაძლებელია აგრეთვე გამოსცადონ ან აღიქვან ინდივიდებმა. ასეთ შემთხვევებში, ეს შესაძლებელია წარმოიშვას არაკომუნიკაციური მიზნების გამო (როგორცაა: სწავლის სურვილი, სურვილი, იცოდე სხვა კულტურები და საზოგადოებები) (იხ. აგრეთვე **ენობრივი მისწრაფებები**).

ენობრივი ნაირსახეობა – ტერმინი, გამოყენებული იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ სიტყვა ენა, რომელიც უკვე გულისხმობს ღირებულებებით მსჯელობას. ენობრივი ნაირსახეობის ნებისმიერი პრობლემა რეალურად არ არსებობდა, რადგანაც, მაგალითად, მას მეტ-ნაკლებად შეუძლია გამოხატოს თანამედროვე მეცნიერული ცოდნა. ყველა ენობრივი ნაირსახეობა შესაძლოა იმ ფუნქციების შესასრულებლად აღიჭურვოს, რომელთა განხორციელებაც მათ ადრე არ მოეთხოვებოდათ. ენობრივი თვალთახედვით, ნებისმიერი ენობრივი ნაირსახეობა, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, ნიშნათა სისტემაა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა ჯგუფის მიერ ურთიერთობის საფუძვლად, რადგან ყველა ენა კაცობრიობის დამახასიათებელი ლინგვისტური

შესაძლებლობების გამოხატულებაა. თუმცა, კონკრეტულ საზოგადოებაში ენებს სხვადასხვა ღირებულებას მიაკუთვნებენ.

ენობრივი პასპორტი – ენობრივ პასპორტში განისაზღვრება მისი მფლობელის დახელოვნება ამა თუ იმ ენაში შემდეგი კრიტერიუმებით: აუდირება, წაკითხვა, დიალოგი, მონოლოგი, წერა. ყურადღება მისაქცევია ის, რომ პასპორტში ცალკეა შეტანილი თვითშეფასება, რაც ენობრივი პორტფოლიოს ძირითადი პრინციპია და ხაზს უსვამს იმას, რომ „ევროპული ენობრივი პორტფოლიო“ წარმოადგენს შემსწავლელის და არა მისი გამცემი დაწესებულების კუთვნილებას.

ენობრივი პოლიტიკა – მოცემულ სახელმწიფოში ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში მიზანმიმართულად გატარებული ღონისძიებები იქ არსებული ენ(ებ)ის განვითარებისა და ენობრივი სიტუაციის ეფექტურად მართვის მიზნით. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი გლოტოპოლიტიკა. ეს არის ნებაყოფლობითი ქმედება, ოფიციალური თუ იძულებითი, რომელიც ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს. ენობრივი პოლიტიკა ოფიციალური ან, ასე ვთქვათ, „საბრძოლო“ ქმედებაა, რომელიც ცდილობს, ჩაერიოს ნებისმიერი ტიპის ენის (სახელმწიფო, რეგიონული, უმცირესობათა, უცხო და მისთ.) ფუნქციონირების სფეროში

(მაგალითად, წერის სისტემა, ოფიციალური ენის არჩევა) ან განათლებაში ამ ენების ადგილის საკითხებში. ენობრივი პოლიტიკა რიგი კომპონენტებით შემოიფარგლება (ერის კონცეფცია, განათლების მიზანი და მისთ.), ენისა და ენის სწავლების საკითხების პოლიტიკური ბუნების აღიარება არის ამ სფეროში ნებისმიერი ქმედების წინაპირობა. ენობრივი პოლიტიკის პროგრამა ეხება ენობრივ უფლებებს (კერძოდ, უმცირესობებს), სასამართლოებსა და ადმინისტრაციებს, საჯაროობის ასპექტებს, მედიასა და ენის სწავლებას (დაწყებითი სკოლიდან უმაღლეს და პროფესიულ-ტექნიკურ განათლებამდე). ამ უკანასკნელის სფეროში ჩარევას ეწოდება ენობრივი განათლების პოლიტიკა.

ენობრივი პრაქტიკა – ენობრივი პრაქტიკის გაკვეთილი მოიცავს მოსწავლეთა სტიმულირებას, რათა ისაუბრონ საინტერესო თემაზე, ნახონ საკუთარი აზრები დაწერილი სახით და ეს ნაწერი თავადვე წაიკითხონ.

ენობრივი პრესტიჟი – (ფრან. *Prestige* - მოჩვენებითობა) საზოგადოებაში გავრცელებული განწყობა, რომელიც (გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებულად) რომელიმე უცხოურ ენას გაცილებით უფრო მაღალ ფასეულობას მიაწერს, ვიდრე საკუთარს. როგორც წესი, ესაა გაბატონებული თუ მძლავრი ხალხის ენა-

კულტურის თაყვანისცემის განწყობა, რომლის საფუძველიც ეროვნული არასრულფასოვნების გრძნობაა (შესაძლოა, არაცნობიერი). პრესტიჟულ ენას მოსახლეობა გულმოდგინედ სწავლობს, ცდილობს, ზედმიწევნით მიბადოს. ამ დროს ადგილობრივ ენაში მრავლად იჭრება და თანდათან მკვიდრდება ბარბარიზმები, რომლებიც მკვიდრ სიტყვებს განდევნიან.

ენობრივი სახესხვაობა – იხ. **ენობრივი ნაირსახეობა**.

ენობრივი სიტუაცია – ტერმინი აღნიშნავს ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე და მოიცავს ამ სახის მონაცემებს: რამდენი ენა და რომელი ენები გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ადამიანი ლაპარაკობს მათზე, რა ვითარებაში, რა განწყობები და დამოკიდებულებები აქვთ მოცემული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ.

ენობრივი სტანდარტი – ენის ნორმირებული და კოდიფიცირებული ფორმა, რომელიც აღიარებულია მის მატარებელთა უმრავლესობის მიერ (იხ. **ენობრივი ლოიალობა**) და გამოდის ნიმუშის როლში. სინონიმად შეიძლება ვიხმაროთ **სალიტერატურო ენა**.

ენობრივი უმცირესობა – (1) ამა თუ იმ სახელმწიფოსა თუ რეგიონში მცხოვრები ინდივიდი ან ადამიანების ჯგუფი, რომლებიც სავსებით ან სათანადო დონეზე ვერ ფლობს იქ გავრცელებულ

უმრავლესობის ენას. ენობრივი უმცირესობის ენა და ეთნიკური უმცირესობის ენა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. (2) ენა, რომელზეც შესაძლებელია ლაპარაკობდნენ უმცირესობები ეროვნული ტერიტორიის ნაწილზე და რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ოფიციალური სტატუსი. ენობრივი უმცირესობა განეკუთვნება ენობრივ სახესხვაობებს, რომლებიც გამოიყენება (როგორც პირველი, ისე მეორე ენა) გარკვეული ჯგუფების მიერ; ეს ჯგუფები თავიანთ თავს განსხვავებულად მიიჩნევენ მათი ტერიტორიის, რელიგიის, ცხოვრების წესის ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლის გამო და ამტკიცებენ ან არეგულირებენ თავიანთ განსხვავებას უფრო დიდი საზოგადოების ფარგლებში.

ერთენოვანი – პირი, რომელიც ფლობს მხოლოდ ერთ ენას, მხოლოდ ამ ენაზე შეუძლია კომუნიკაცია.

ერთენოვნება – ერთკომპონენტიანი ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ენა თავისი არსებობის ერთი ან რამდენიმე ფორმით.

ეროვნული ენა – ერის დედაენა, მისი ისტორიული და თანამედროვე ვინაობის გამომხატველი; მიუხედავად ამისა, ყველგან არ არსებობს ცალსახა მიმართება ერსა და ენას შორის, რადგანაც ზოგიერთი ენა რამდენიმე ერს ემსახურება, ხოლო ზოგიერთ ერს რამდენიმე ენა აქვს. გვხვდება ასევე ტერმინი **ეთნონაციონალური ენა**.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონვენცია – ამ დოკუმენტში წარმოდგენილია ის პრინციპები და მოვალეობები, რომელთა მიზანია ეროვნულ უმცირესობათა დაცვა „სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის სამართლებრივი ნორმებისა და პატივისცემის შესაბამისად“. მე-14 მუხლში მხარეები „აღიარებენ, რომ ყოველ ადამიანს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება აქვს, ისწავლოს მშობლიური ენა“.

ეროვნული უმცირესობა (მინორიტეტი) – ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი ეთნიკური სამშობლოს საზღვრებს გარეთ ან ისეთები, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ ეთნიკური სამშობლო (მაგალითად, ბოშები).

ეფექტური კომუნიკაცია – კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც უნდა გავიგოთ არა მხოლოდ ტექსტის პირდაპირი შინაარსი, არამედ ქვეტექსტიც, ანუ ისიც, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე.

ვარიანტი – (ფრანგ. *Variety*) ენის ქვესისტემა, სახესხვაობა. ამერიკულ სოციოლინგვისტიკაში ვარიანტი ერთგვარი გვარეობითი ცნების აღმნიშვნელია და გულისხმობს ენის ნებისმიერ სახესხვაობას: დიალექტს, სალიტერატურო ენას, არგოს, ჟარგონს, ფუნქციურ სტილს. ამგვარი განმაზოგადებელი ტერმინის აუცილებლობას ქმნის ის გარემოება, რომ სოციოლინგვისტური

აღწერისას ენის სახესხვაობის აღსანიშნავად საჭიროა ემოციურ-შეფასებითი კონოტაციისაგან დაცლილი ტერმინი. ზემოაღნიშნული ტერმინები, თავისთავად, სოციალურ შეფასებებს ეყრდნობა. არსებობს შემდეგი სახის ვარიანტები: სტანდარტული, რეგიონული, სოციალური, რელიგიური, ეთნიკური, პროფესიული (სპეციალიზებული) და ა. შ.

ვარიანტი – ენის სახეცვლილება.

ვერბალური კომუნიკაცია – კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც გულისხმობს სიტყვების საშუალებით ინფორმაციის გადაცემას.

ზეპირმეტყველება – აერთიანებს ორ ენობრივ უნარს – ლაპარაკსა და მოსმენას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება – საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც.

ზღვრული (BI) დონე – შეესაბამება ზღვრული დონის იმ სპეციფიკაციებს, რომლებიც უცხო ქვეყანაში მოკლე დროით ჩამსვლელებისადმიამიმართული. ეს დონე ორი განსხვავებული ნიშნით ხასიათდება: პირველი ნიშანია ის, რომ შემსწავლელს, რომელიც ამ დონეს ფლობს,

შეუძლია დიალოგის წარმართვა და კომუნიკაციის მიზნის მიღწევა მთელ რიგ განსხვავებულ სიტუაციაში. ამასთანავე კარგად ართმევს თავს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ამოცანებს.

ზღვრული განვითარებული (B2) დონე – დგას ზღვრულ და საფუძველ დონეებზე (B1, A2) მაღლა და ეწოდება ზღვრული განვითარებული დონე. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო დონის დაუფლებისას შემსწავლელი ხვდება, რომ მიაღწია ხარისხობრივად ახალ წერტილს, საიდანაც ახალი ჰორიზონტები იკვეთება და მას უკვე შეუძლია ახლებურად შეხედოს საგნებსა და მოვლენებს.

ზღვრული გაძლიერებული (B1+) დონე – ენობრივ ჩვევათა ეს წყება გაერთიანებულია ზღვრულ დონეში (B1) და, ცხადია, ამ დონის ძირითადი მახასიათებლები ძალაში რჩება, მაგრამ ემატება მთელი რიგი დესკრიპტორები, რომლებიც ეხება: სხვადასხვა მოცულობის ინფორმაციის გაცვლის უნარს; შემსწავლელს შეუძლია განმარტოს, თუ რატომაა ესა თუ ის საკითხი თუ მოვლენა პრობლემური; საკმაოდ დაჯერებულად შეუძლია დაგროვილი ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა მისი ინტერესების სფეროში არსებულ ყოფით და არაყოფით საკითხებზე.

თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი (გრაცი) – დაარსდა 1994 წელს ევროპის საბჭოს ენობრივი

განათლების პოლიტიკის დასანერგად, კერძოდ, იმ საჭიროების პრაქტიკულად საპასუხოდ, რომელიც ნათლად გაცხადდა წევრი სახელმწიფოების მიერ ენათა სწავლების სფეროში და მასწავლებელთა ტრენინგების საქმეში ევროპის საბჭოსთან წარმატებული თანამშრომლობის გაძლიერებით. თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის მისიაა, პრაქტიკულად დაუჭიროს მხარი თავის წევრ სახელმწიფოებს მათი ენობრივი პოლიტიკის გატარებაში. ის ხორციელდება ინოვაციური მიდგომებით და მიზნად ისახავს თანამედროვე ენების სწავლებისა და შესწავლის ეფექტური პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობას. თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი ხელს უწყობს ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების საერთაშორისო პლატფორმის ჩამოყალიბებას, დისკუსიისა და ტრენინგების განვითარების სტიმულირებას და იძლევა ფინანსური მხარდაჭერის საშუალებებს.

თანაშეფასება – მოსწავლეთა თანაშეფასების დროს მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს უკვე არსებული ან საკუთარი კრიტერიუმებით. შესაფასებელი აქტივობა უნდა იყოს კარგად სტრუქტურირებული, იმისათვის რომ შეფასება იყოს ზუსტი. მასწავლებელი მოსწავლეებს რთავს პროექტის, ნაშრომის თუ პრეზენტაციის შეფასების ცხრილის შედგენაში. შესაძლოა,

მასწავლებელმა წინასწარ შეადგინოს შეფასების ცხრილი და შემდგომ განიხილოს იგი მოსწავლეებთან ერთად.

თემატური პოსტერი – თემატური პოსტერი არის დიდი ზომის პლაკატი, რომელზეც გამოსახულია საინტერესო, „ავთენტური“ კომპოზიცია. როგორც წესი, პოსტერი ფერადია და ადამიანებს, ნივთებს, მოქმედებებსა და მოვლენებს ასახავს. პოსტერი საკლასო ოთახში, თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება ისე, რომ ყველა მოსწავლე კარგად ხედავდეს. მასწავლებელსა და მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, აქტიურად ისაუბრონ პოსტერზე გამოსახული კომპოზიციისა და სიუჟეტის შესახებ. მასწავლებელი სვამს სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის შეკითხვებს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მიზნობრივი ინსტრუქციების მიდევნებით, მოსწავლეები ერთმანეთს უსმენენ, ფიქრობენ, მეტყველებენ, წერენ, რაც სწრაფად ავითარებს ენობრივ უნარებს.

თვალსაჩინოება – სხვადასხვა სახის ვიზუალური, აუდიომასალა (მაგ. ფილმი, სლაიდი, გრაფიკი, სქემა, ნახატი და სხვა) და ტექნიკური საშუალება, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში.

თვითმიმართული სწავლება – ზოგიერთი ენის სწავლება შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს სხვა გზით, რომელიც განსხვავდება ჯგუფური სწავლებისაგან და ეყრდნობა შემსწავლელის ავტონომიას, ანუ, უნარი, პასუხისმგებლობა აიღოს ვინმეს სწავლაზე. შემსწავლელები გააზრებულად განსაზღვრავენ მათი კურსის ხანგრძლივობას (და სიხშირეს), მის ძირითად დანიშნულებას და ზუსტ მიზნებს (რომელი ენობრივი სახესხვაობა, რომელი უნარები), სწავლების მიმართულებები და მეთოდოლოგიები, განსაზღვრული, როგორც მიზანშეწონილი, შეფასების მეთოდები და მისთ. ენობრივი სახესხვაობის სწავლის ეს გზა განსაკუთრებით მიზანშეწონილია სწავლება / სწავლის მიმართულებების შესაქმნელად, რადგანაც ის შესაძლებელია ადვილად დაიგეგმოს განათლების სისტემებში: კლასის / ჯგუფის გარეთ, ყოველკვირეული განრიგის გარეთ, აკადემიური წლის გარეთ და ა.შ.

თვითშეფასება – პროცესი, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ერთვება საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში. ამისათვის მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ნაშრომების შეფასების საშუალება. თვითშეფასების მუდმივი წარმოება მოსწავლეებს უყალიბებს შეცდომის მიმართ სწორ დამოკიდებულებას. მოსწავლე

ხვდება, რომ მხოლოდ შეცდომის გამოსწორებით არის შესაძლებელი მისი თვითგანვითარება.

თვითშემეცნება ანუ რეფლექსიური აზროვნება – რთული სააზროვნო უნარ-ჩვევაა. იგი არის საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქცევის და აზროვნების ანალიზს, გაცნობიერებას, შეფასებას, დაგეგმვასა და კონტროლს. თვითშემეცნებას, ანუ, რეფლექსიას მოსწავლე იყენებს მაშინ, როდესაც ფიქრობს საკუთარ მოქმედებებზე: მაგ. როდესაც ფიქრობს იმაზე, თუ რამ განაპირობა მისი წარმატება ან წარუმატებლობა.

იდენტობის ენა – ენის სახესხვაობა, რომელზეც შესაძლოა ლაპარაკობდნენ თავისუფლად, იშვიათად ან თუნდაც არასდროს, მაგრამ რომელიც ფუნქციონირებს, როგორც მიკუთვნების დასადგენი საშუალება (სიმბოლური, ემოციური) ხალხის მოცემულ საზოგადოებაში ან ჯგუფში. ამ სახესხვაობის ღირებულება ხალხს ხშირად უმცირებს სხვა ენების ღირებულებას მათ რეპერტუარში.

ინდიკატორი – [ლათ. მაჩვენებელი] (1) სოციოლინგვისტური ცვლადი, რომელიც რეგულარულ დისტრიბუციას ამჟღავნებს სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნიკურ თუ ასაკობრივ ჯგუფებში და თითქმის ერთნაირად გამოიყენება ნებისმიერ კონტექსტში. (2) მიზნის მიღწევის დონის მაჩვენებელი.

ინდიკატორის საშუალებით შესაძლებელია შევადგასოთ / გავზომოთ დავალების შესრულების ხარისხი დადგენილი კრიტერიუმების ან მოთხოვნების საფუძველზე, დავადგინოთ შემსწავლელის ძლიერი და სუსტი მხარეები.

იზოგლოსა – გეოგრაფიულ რუკაზე დატანილი ხაზი ან სხვა პირობითი ნიშანი, რომელიც გვიჩვენებს ცალკეული ენობრივი ფაქტის ტერიტორიული გავრცელების ფარგლებს.

იზოლაციონისტური საგანმანათლებლო პარადიგმა – გულისხმობს განათლებას მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე, რაც ნიშნავს ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ნებაყოფლობით იზოლაციას დომინანტი ეთნიკური ჯგუფისგან.

ინსტიტუციონალური ბილინგვური განათლება – ითვალისწინებს ბილინგვური საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებას ინსტიტუციონალურ დონეზე.

ინსტრუქციის ენა – ოფიციალური ენა (ერთი ან ზოგიერთ სახელმწიფოში ერთზე მეტი) ან უცხო ენა, რომელიც გამოიყენება, როგორც ინსტრუქტირების ენა სკოლაში. ეს ენა შესაძლოა, ყოველთვის მოსწავლეების „მშობლიური ენა“ არ იყოს; ინსტრუქტირების ენა მოიცავს განხილვის ფორმებს (კერძოდ, წერით მსჯელობას), რომელიც ახალია შემსწავლელთათვის. იმისთვის, რათა საკუთრივ

ენისაგან განსხვავებული საგნები ასწავლონ, სკოლები იყენებენ ენობრივ სახესხვაობას, რომელიც ძირითადად არის ოფიციალური ენა (ენები).

ინტერაქცია, ანუ ენობრივი ურთიერთქმედებები – მოიცავს როგორც რეცეფციულ, ასევე პროდუქტიულ აქტივობებს, ანუ, აღქმასა და წარმოქმნას და ქმედების ისეთ განსაკუთრებულ სახეობას, რომელიც აუცილებელია ერთობლივი დისკურსის ასაგებად. სწორედ ამიტომ აღქმისა და წარმოქმნის ყველა ზემოხსენებული სტრატეგია მოქმედებს ინტერაქციის მიმართაც.

ინტერაქტიული სოციოლინგვისტიკა – შეისწავლის ენის გამოყენების ჰეტეროგენულ, მულტიკულტურულ ასპექტებს ყველაზე ხშირად ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებში და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ გამოიყენებენ ენებს ერთი საზოგადოების ფარგლებში მოქცეული ენობრივი და კულტურული ჯგუფები.

ინტერაქტიული სწავლება – გათვლილია ყოველი მოსწავლის სარგებელზე. ამ დროს აქცენტი კეთდება სწავლების ისეთ ფორმებზე, სადაც მოსწავლე აქტიურად ერთვება სწავლის პროცესში. მასწავლებელი ისე გეგმავს გაკვეთილს, რომ ყოველი მოსწავლე პოულობს თავის ადგილს და არ რჩება პასიური ან გარიყული. ინტერაქტიული სწავლება არის

ორმხრივი პროცესი, რომლის დროსაც მოსწავლეები აქტიურ როლს ასრულებენ, პასუხობენ კითხვებს, თანამშრომლობენ ჯგუფური მუშაობის დროს, აქტიურად ერთვებიან დისკუსიაში, გამოთქვამენ აზრს და ა.შ.

ინტერდიალექტი – დიალექტთა მიჯნაზე წარმოქნილი ახალი ენობრივი წარმონაქმნი, მაგალითად, კოინე.

ინტერენა – შესასწავლი ენის სახესხვაობა, რომელიც ინტერფერენციის ობიექტს წარმოადგენს მშობლიური ენის მხრიდან, მაგრამ არ შეიცავს არცერთი მათგანის ელემენტებს. ინტერენა უცხო/მეორე ენის შესწავლის პროცესში ინდივიდის მიერ შექმნილი ლინგვისტური სისტემაა, რომელიც განსხვავდება როგორც ინდივიდის პირველი ენისაგან, ასევე შესასწავლი ენისაგან. ინტერენა ასახავს წესების სისტემას, რომელიც უვითარდება შემსწავლელს და წარმოადგენს სხვადასხვა პროცესის შედეგს, რომელიც მოიცავს პირველი ენის გავლენას (ტრანსფერს), საპირისპირო ჩარევას შესასწავლი ენის მხრიდან და ახლად მიღებული წესების განზოგადებას.

ინტერფერენცია – ორენოვნების პირობებში ენობრივი სისტემების ურთიერთქმედება, რომელიც ყალიბდება ენობრივი კონტაქტების ან არამშობლიური ენის ინდივიდუალური

შესწავლის დროს; გამოიხატება გადახრებით მეორე ენის ნორმიდან და სისტემიდან მშობლიური ენის ზეგავლენით.

ინტერკულტურული განათლება – განათლება, რომელიც აღიარებს და პატივს სცემს მრავალფეროვნების არსებობას ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, ხელს უწყობს თანასწორობას და თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას, ეწინააღმდეგება უსამართლო დისკრიმინაციას და აყალიბებს ღირებულებათა სისტემას, რომლის გარშემოც თანასწორობა მიიღწევა.

კალკი – გამჭვირვალე ან ნახევრადგამჭვირვალე ქსოვილი ან მაგარი ქაღალდი), ენაში – „გადაშუშვა“, ანუ „ასლის გადაღება“ გადატანითი აზრით: უცხოენოვანი სიტყვისა ან ფრაზის მსგავსის აგება მშობლიური ენის მასალით.

კეთებით სწავლება – კეთებით სწავლების, ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს ხდება ზუსტი ინსტრუქციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისთვის და არა უბრალოდ ინფორმაციის მიწოდება. იგი მიზნად ისახავს, რომ მოსწავლეებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას. პრაქტიკის დროს მასწავლებელი აქტიურად იყენებს გამოხმაურებას (უკუკავშირს), რაც ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლის პრაქტიკა იყოს აზრიანი

და მან მართლაც გააცნობიეროს, რასაც აკეთებს და არა ავტომატურად (მექანიკურად) იმეოროს.

კილო – იხ. დიალექტი; როგორც წესი, ამ ტერმინს იყენებენ ტერიტორიული დიალექტის აღსანიშნავად.

კლასიკური ენა – ენა, რომელზეც შექმნილია (დაწერილია ან თარგმნილია) ისეთი ტექსტების (როგორც რელიგიური, ისე საერო) კორპუსი, რომლებიც მაქსიმალურად მაღალ საზოგადოებრივ-კულტურულ ფასეულობას წარმოადგენენ მოცემული ტრადიციისათვის; ენა, რომელიც მასზე შექმნილი ტექსტების პრესტიჟულობის გამო გასცდა თავის თავდაპირველ ეთნიკურ საზღვრებს. კლასიკური ენები, როგორც წესი, დღეისათვის მკვდარი ენებია, რის გამოც ენის ტიპების მახასიათებელ ნიშანთაგან მათ მოეპოვებათ სტანდარტიზაცია, ავტონომიურობა და ისტორიულობა, მაგრამ არ აქვთ სიცოცხლისუნარიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ენა არავისთვის არ არის მშობლიური.

კოგნიტურ-აკადემიური ენობრივი უნარები (კალუ) – ფორმალური აკადემიური სწავლის ენა, რომელიც მოიცავს მოსმენას, ლაპარაკს, კითხვას და წერას საგნობრივი შინაარსის გარშემო. ენის ამ შრის ათვისება სკოლაში მიმდინარეობს. მოსწავლეებს სჭირდებათ დრო და ძალისხმევა აკადემიური შინაარსის ასათვისებლად. ინფორმაცია მოდის სახელმძღვანელოებიდან ან

მასწავლებლისგან. კონტექსტი სულ უფრო შეზღუდულია.

კოდი – ნებისმიერი სახისა და დონის ენობრივი წარმონაქმნი (ენა, ტერიტორიული თუ სოციალური დიალექტები, რეგისტრები, სტილები და ა.შ.), რომლებიც საურთიერთო საშუალებად გამოიყენება ამა თუ იმ ენობრივ თუ სამეტყველო ერთობაში.

კოდიფიკაცია – ენის მოხმარების შერჩეული და დადგენილი წესების ლეგიტიმაცია, რაც ვლინდება საკანონმდებლო აქტების გამოცემაში (მაგ., კონსტიტუცია, რომელშიც განსაზღვრულია ენის სტატუსი), ნორმატიული გრამატიკებისა და ლექსიკონების, ორთოგრაფიისა და ორთოეპიის წესების, ოფიციალურად დადგენილი და რეკომენდებული ტერმინების სიების შედგენასა და გამოქვეყნებაში. კოდიფიკაცია წარმოშობით იურიდიული ტერმინია, რომელიც ნიშნავს კანონთა სისტემატიზაციას ერთიან საკანონმდებლო ჩარჩოში შეუსაბამობების მოშორების, სიცარიელეთა ამოვსებისა და მოძველებული ნორმების გაუქმების გზით.

კოდის ცვლა – ორ ან მეტ ენობრივ სახესხვაობას შორის ცვლილება ლაპარაკის ფარგლებში ან საუბრის ფარგლებში ერთი და იმავე მოლაპარაკის მიერ.

კოინე – ზეპირმეტყველების ზედიალექტური ნაირსახეობა, რომელიც დიალექტთაშორისი ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. იგი რამდენიმე

სხვადასხვა დიალექტის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს აერთიანებს და მასში ნიველირებულია სპეციფიკური კილოკავური მოვლენები, რის გამოც ერთნაირად გასაგები და მისაღებია სხვადასხვა დიალექტის მტარებლებისათვის. ხშირად კოინე წინ უსწრებს და საფუძვლად ედება სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას.

კომპეტენცია – კონკრეტული ამოცანის შესრულებისათვის საჭირო უნარი. იგი მოიცავს უნარების, ცოდნისა და ქცევის ერთობლიობას. თავდაპირველად ამერიკელმა ენათმეცნიერმა ნ. ჩომსკიმ ერთმანეთისაგან გამიჯნა კომპეტენცია (Competence), როგორც მოლაპარაკის მიერ ენის სრულფასოვანი ცოდნა, და შესრულება (Performance), ენის გამოყენება. ენის ფლობა გულისხმობს არა მარტო მისი გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას, არამედ საკმაოდ ნათელ წარმოდგენასაც იმის შესახებ, თუ რომელ სამეტყველო სიტუაციაში უნდა გამოვიყენოთ ესა თუ ის სიტყვა და გრამატიკული კონსტრუქცია; აღნიშნულის საფუძველზე მან გამოყო საკომუნიკაციო ანუ სოციო-ლინგვისტური კომპეტენციის ცნება, რომელიც, საკუთრივ ლინგვისტური კომპეტენციის გარდა, ენის სოციალურად და სიტუაციურად მარკირებულ გარემოში სათანადო გამოყენების წესების ცოდნასაც გულისხმობს. საკომუნიკაციო

კომპეტენციის ცნება ფაქტობრივად კომპეტენცია-პერფორმანსის დიქტომიის ნეიტრალიზაციის მიზნით შეიქმნა.

კომუნიკაცია – ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებების და იდეების ურთიერთგაცვლა. კომუნიკაცია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „komunikare“, რაც ნიშნავს: „გავხადოთ ყველასთვის გასაგები“.

კომუნიკაციური გრამატიკა – აღწერს, თუ როგორ გამოიყენება გრამატიკული წესები კონკრეტულ სიტუაციებში. ენობრივ ნორმათა შესწავლა კომუნიკაციურ გრამატიკაში ექვემდებარება ენის შემსწავლელის კონკრეტულ საჭიროებებს. ტრადიციული გრამატიკებისგან განსხვავებით, კომუნიკაციური გრამატიკა აქცენტს აკეთებს არა ფორმალურ კატეგორიებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ ენა პრაქტიკაში.

კომუნიკაციური კომპეტენციები – მოიცავს ცოდნას, უნარებსა და ნოუ-ჰაუს ქვემოთ ჩამოთვლილი სამი კომპონენტისათვის: ლინგვისტური კომპეტენციები, სოციოლინგვისტური კომპეტენციები, პრაგმატული კომპეტენციები.

კომუნიკაციური მიდგომა – ენის დაუფლების თანამედროვე მეთოდი. ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით, კომუნიკაციური მიდგომა გულისხმობს ენის ურთიერთობის პროცესში

დაუფლებას. ენობრივი გარემო და ურთიერთობა (კომუნიკაცია) – აი, ეს არის კომუნიკაციური მიდგომის აუცილებელი წინაპირობა.

კომუნიკაციური უნარ-ჩვევები – მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, არავერბალური კომუნიკაცია, ინფორმაციის გარდაქმნა-ტრანსფორმაცია (სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა), სპეციალური ენის ფლობა (სხვადასხვა მეცნიერებების ენობრივი აპარატის ფლობა და სიმბოლოებით ოპერირება).

კონტაქტური ლინგვისტიკა – ენათა კონტაქტების კვლევისას ძირითადი ყურადღება ექცევა ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა ინტერფერენცია და კოდების გადართვა. ენათა კონტაქტების კვლევაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი შექმნა ამერიკელმა ენათმეცნიერმა უ. ვაინრაიხმა. ამგვარი მოვლენების შემსწავლელ დარგს ეწოდა კონტაქტური ლინგვისტიკა.

კონტრასტული ანალიზი – ენათა შედარების ერთგვარი ხერხია, რომლითაც განისაზღვრება პოტენციურად მოსალოდნელი გადაცდომები, რათა მეორე ენის შესწავლის დროს გამოიკვეთოს, რის შესწავლაა აუცილებელი და რისა – არა. კონტრასტული ანალიზი ემყარება ენის თეორიას, რომლის მიხედვითაც ენა არის ჩვევა და რომ ენის შესწავლა გულისხმობს ახალი ჩვევების შეთვისებას. სირთულე და

სიიოლე ენათა შესწავლის დროს განისაზღვრება ორი ენის შეპირისპირებით გამოვლენილ მსგავსება-განსხვავებათა მიხედვით.

კონტრენა – იხ. ანტიენა.

კონვერგენცია – აკომოდაციის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც მოსაუბრე თავის მეტყველებას ამსგავსებს სხვათა სამეტყველო თავისებურებებს. იხ. აგრეთვე აკომოდაცია.

კრეოლიზაცია – სოციოლინგვისტური პროცესი, რომლის შედეგად პიჯინი გადაიქცევა არარედუცირებულ ენად, რომელსაც უნარი შესწევს, შეასრულოს ჩვეულებრივი ენის ყველა ფუნქცია, და რომელსაც მოეპოვება თავისი მატარებლები, ვისთვისაც იგი დედაენას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ეს პროცესი დაახლოებით ორი თაობის ფარგლებში სრულდება.

კრეოლური ენა – ყოფილი პიჯინი, რომელიც მისი მომხმარებელი ენობრივი ერთობის დედაენად გადაიქცა თაობათა ცვლის პროცესის შედეგად. პიჯინებისა და კრეოლური ენების შესწავლის საქმეში პიონერად მიჩნეულია ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰ. შუხარდტი.

კრიტერიუმი – [ბერძნ. criterion მსჯელობის, გადაწყვეტის საშუალება] პრინციპი (ნიშან-თვისება), რომლის მიხედვითაც რაიმეს აფასებენ, განსაზღვრავენ.

კულტურა – სოციალური ქმედებების, რწმენის, ხელოვნების, ინსტიტუტების მთლიანობა ტრანსმისიური ხასიათისა, რომელიც შექმნილია ადამიანთა

გარკვეული ჯგუფის შრომისა და ფიქრის შედეგად. კულტურის მთავარი შემადგენელი ელემენტები არის გეოგრაფიული სიტუაცია, ეთნიკური კუთვნილება, ენა, რელიგია და ისტორია.

კულტურათაშორისი კომპეტენცია – ცოდნის, უნარების, მეხედულებებისა და ქცევების კომბინაცია, რომელიც მოსაუბრეს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა დონეზე აღიაროს, გაიგოს, გარდაქმნას და მიიღოს ცხოვრების სხვა მიმართულებები და იაზროვნოს მისი კულტურის მიღმა. ეს კომპეტენცია არის ხალხთა შორის გაგების საფუძველი და არ შემოიფარგლება ენის შესაძლებლობით.

კულტურული ინვერსია – დომინანტ კულტურასთან ინტეგრაციის პროცესისთვის წინააღმდეგობის გაჩევა.

კულტურული მრავალფეროვნება – ადამიანები ავითარებენ სხვადასხვა სტრატეგიას, ნორმასა და ღირებულებას, რათა შეძლონ გარკვეულ ჯგუფში ცხოვრება და როგორც ჯგუფმა მოახდინონ სხვადასხვა გარემოსთან ადაპტირება დროსა და სივრცეში. ეს სტრატეგიები, ნორმები და ღირებულებები გადაიქცევა ჩვევად და ტრადიციად ამ ჯგუფისათვის და მოითხოვს მის შესაბამის ქმედებებს ჯგუფის წევრებისგან, გადაეცემა შემდგომ თაობებს. ადამიანები პატივს სცემენ სხვა ადამიანების ნორმებს,

ღირებულებებს, ჩვევებსა და ტრადიციებს და თანაცხოვრობენ განსხვავებული კულტურის მქონე ჯგუფთან, რომელთა ჩვევებიც მკვეთრად განსხვავდება მათი ჩვევებისგან

ლაპარაკი – ზეპირი პროდუცირებისას (ლაპარაკისას) ენის მომხმარებელი წარმოქმნის ტექსტს ზეპირი სახით, რომელსაც ერთი ან მეტი მსმენელისგან შემდგარი აუდიტორია აღიქვამს.

ლექსიკური კომპეტენცია – ლექსიკური და გრამატიკული ელემენტებისგან შემდგარი ენის ლექსიკური ფონდის ცოდნა და გამოყენების უნარი.

ლინგვა ფრანკა – (იტალ. *lingua franca* – ფრანკების ენა, რომელიც ერთხანს ხმელთაშუაზღვის საპორტო ქალაქების საერთაშორისო ენა იყო) – პიჯინივით გამარტივებულ-გადარბებული ენა, რომელიც რომელიმე გეოგრაფიულ არეში საერთაშორისო პრაქტიკულ-საურთიერთო ენად იხმარება. ასეთი ენა იყო, მაგ., არამეული ენა წინა აზიაში ქრისტეს დაბადების ხანაში. იმპერიაში, ბუნებრივია, გაბატონებული ხალხის ენა იქცევა ლფ-დ, მაგ.: რომის იმპერიაში – ლათინური; ბრიტანეთის იმპერიაში – ინგლისური; საბჭოთა კავშირში – რუსული (გურული გლეხი დამტვრეულ-გაფუჭებული და ფრიად გადარბებული რუსულით ესაუბრებოდა ციმბირელსა თუ ლატვიელს).

ლინგვაციდი – იხ. გლოტოფაგია.

ლინგვისტური ბაზარი – გარკვეული ფარდობითობა ლინგვისტური კომპეტენციის შემომტან ენაზე მოლაპარაკეთა და იმათ შორის, ვინც განსაზღვრავს ამ კომპეტენციაზე მოთხოვნას. ინდივიდების უნარი, შეინარჩუნონ ან გაზარდონ თავიანთი სოციალური მდგომარეობა, განისაზღვრება იმ კაპიტალის მოცულობით, რომელსაც ისინი ფლობენ. მოსაუბრის პრაქტიკული კომპეტენციის ნაწილს წარმოადგენს იმის ცოდნა, სად და როგორ მიანიჭოს ამა თუ იმ ენას უპირატესობა, რათა მაქსიმალურად მიიღოს პრაქტიკული სარგებელი. მრავალენოვნების შემთხვევაში ლინგვისტური კაპიტალის განაწილება ხშირად შეეფარდება კაპიტალის სხვა ფორმების განაწილებას და, ერთად აღებული, ყველა ეს ფორმა განსაზღვრავს ამ ენაზე მოლაპარაკე ცალკეულ პიროვნებათა და თემთა მდგომარეობას მთელს სოციალურ იერარქიაში.

ლინგვისტური კონტაქტოლოგია – იხ. **კონტაქტური ლინგვისტიკა**.

ლინგვისტური კომპეტენციები – გულისხმობს ენის ფორმალურ მახასიათებლებს: ფონოლოგიას, მორფოლოგიას, ლექსიკოლოგიასა და სინტაქსს.

ლინგვოეკოლოგია – იხ. **ენის ეკოლოგია**

ლინგვოკულტურული ინტერფერენცია – გულისხმობს ერთი ენის კულტურულ კონოტაციათა სრულ ან ნაწილობრივ აცილებას (არათანხვედრას) მასთან

კონტაქტში მყოფი რომელიმე ენის კულტურულ კონოტაციებთან. საინტერესო გამოკვლევები არსებობს კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესის წარმატებულობაზე მოქმედი ლინგვისტური ინტერფერენციის წყაროების, ტიპებისა და შემადგენელი კომპონენტების გამოსავლენად.

მაკროსოციოლინგვისტიკა – იხ. ენის სოციოლოგია.

მასპინძელი ენა – იმ ხალხის ან ჯგუფების მშობლიური ენა, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, სხვა ქვეყნებში დასახლებულიყვნენ, წარმოადგენს უმცირესობათა ენის სხვა ტიპს. ისინი უნდა შეეგუონ ენობრივად ახალ გარემოს, თუნდაც იმდენად, რამდენადაც საუბარია დომინანტ სახესხვაობასთან შეგუებაზე, რომელიც ცნობილია მასპინძელი ენის სახელით ყოველდღიური და პროფესიული კომუნიკაციებისათვის. მოზრდილთათვის ამ ენის ათვისება აკადემიური სტრუქტურების მიღმა ხდება. ასეთი დაუფლება შეიძლება გადავიდეს მაღალ დონეზე ან შეჩერდეს, როდესაც დაკმაყოფილდება ყველაზე აუცილებელი ენობრივი მოთხოვნილებებით.

მასწავლებლის წიგნი – სახელმძღვანელო, რომელიც მასწავლებელს აძლევს მეთოდური ხასიათის მითითებებს და რომლის დახმარებითაც მასწავლებელი წარმართავს/განახორციელებს სწავლებას.

მაღალი კულტურა – ამ ტერმინის ქვეშ ხშირად იგულისხმება კულტურული ნაწარმოებების ერთობლიობა, ძირითადად ხელოვნების ნაწარმოებები, რომელსაც აჰყავს კულტურა უმაღლეს საფეხურზე და ხაზს უსვამს ამა თუ იმ კულტურის მაღალ დონეს.

მედიაცია – მედიაციის პროცესში ენის მცოდნე თავის საკუთარ აზრს კი არ გამოხატავს, არამედ გამოდის შუამავლის როლში მოსაუბრეთა შორის, რომლებსაც უშუალოდ არ ესმით ერთმანეთის (მაგრამ არა ყოველთვის) იმიტომ, რომ სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ. საშუამავლო ქმედება შეიცავს ზეპირ ინტერპრეტაციასა და წერილობით თარგმანს, ამასთანავე, იმავე ენაზე ტექსტების რეზიუმირებასა და პერიფრაზირებას, როდესაც რეციპიენტს ორიგინალის ენა არ ესმის.

მეორე ენა – ეროვნული / ეთნიკური უმცირესობებისთვის – ქვეყნის ძირითადი მაცხოვრებლების ენა. ეთნიკური უმცირესობები შეისწავლიან მეორე ენას იმისათვის, რათა გამოიყენონ იგი საზოგადოებრივ სფეროში; ეს არ უნდა ხდებოდეს მშობლიური ენის დისკრიმინაციის ხარჯზე, თუმცა, მეორე ენის ხშირი გამოყენებით, როგორც წესი, მიიღწევა მისი დაუფლება მშობლიური ენის დონეზე.

მეორე ენის ათვისება (მეა) – ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ისეთი ენის დაუფლების პროცესი, რომელიც

განსხვავდება ადრეულ ბავშვობაში შესწავლილი მშობლიური (ან პირველი) ენისაგან. მეორე ენას ზოგჯერ სამიზნე ენასაც უწოდებენ. მეორე ენის ათვისება შეიძლება სამი სახით მიმდინარეობდეს: (1) არაფორმალური ათვისება ბუნებრივ კონტექსტში; (2) ფორმალური სწავლება-სწავლა საკლასო ოთახში; (3) შერწყმული ვითარება – ათვისება როგორც ბუნებრივ, ისე საკლასო გარემოში.

მეორე ენის დაუფლება (მედ) – ამ ტერმინის გამოყენება უკავშირდება სტეფან კრაშენის სახელს, რომელმაც ერთმანეთს დაუპირისპირა ენის ფორმალური და არაკონსტრუქციული სწავლება. მეორე ენის სწავლების აკადემიურ დისციპლინაში აბრევიატურა "მედ", ანუ მეორე ენის დაუფლება იქცა წამყვან ტერმინად. მეორე ენის დაუფლება ხშირად განიხილება, როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის ნაწილი, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ენობრივ სისტემასა და ენის დამოუკიდებლად სწავლების პროცესს. თუმცა, როგორც აღნიშნულია, მეორე ენის სწავლება უფრო ორიენტირებულია ენის ბუნებრივ დაუფლებაზე.

მეორე ენის სწავლება შინაარსზე დაფუძნებით – საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლება – სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც აფართოებს ენობრივ კომპეტენციას ისეთი კონკრეტული საგნების (საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი,

ესთეტიკური) შინაარსზე დაყრდნობით, რომელიც სცილდება ენის სწავლების ჩვეულებრივ, ტრადიციულ ვაკვეთილს. მასწავლებელი, კონკრეტული საგნის სწავლებასთან ერთად, იმ ენის ცოდნის გაღრმავებაშიც ეხმარება მოსწავლეს, რომელს ენაზეც ხორციელდება საგნის სწავლება.

მეტაკოგნიცია – საკუთარი შემეცნებითი (აზროვნების) პროცესების (აზრების, ფიქრების) გაცნობიერება და მართვა. სხვა სიტყვებით, მეტაკოგნიცია არის აზროვნება აზროვნების შესახებ. ეს არის ცოდნა საკუთარი კოგნიტური სისტემისა და მისი ფუნქციონირების შესახებ და მისი კონტროლის უნარი. მეტაკოგნიციის დროს ხდება იმის შემეცნება, თუ რა ვიცი (მეტაკოგნიტური ცოდნა), იმის გაცნობიერება, თუ რას ვაკეთებ, როგორ ვიქცევით (მეტაკოგნიტური უნარი) ან როგორია ჩვენი მიმდინარე კოგნიტური და ემოციური მდგომარეობა (მეტაკოგნიტური შეგრძნება).

მეტაკოგნიტური ცოდნა – წარმოადგენს ორი დონის ცოდნას: როდესაც ჩვენ ვიცი რაიმე და როდესაც ვიცი, რომ ჩვენ ის ვიცი. მეტაკოგნიტური ცოდნა შემსწავლულებს ეხმარება, გააანალიზონ საკუთარი შინაგანი ქმედებები და ისწავლონ მათი რეგულირება. ეს ცოდნა ასევე მოიცავს საკუთარი პიროვნების შეცნობას, გრძნობებს, მოტივაციას,

დამოკიდებულებებსა და კოგნიტურ სტილს (იხ. ეგზისტენციალური კომპეტენციები, „კომპეტენციები“, 5.1.3). მეორე მხრივ, მეტაკოგნიტური სტრატეგიები ზოგადი უნარ-ჩვევებია, რომლებიც საშუალებას აძლევს შემსწავლელებს გამოიყენონ მეტაკოგნიტური ცოდნა: დაგეგმონ, აკონტროლონ და შეაფასონ საკუთარი სწავლა.

მეტალინგვისტური კომპეტენცია – იხ. ენობრივი კომპეტენცია.

მეტყველების გამომუშავება – ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობა გამოვლენილია ფონეტიკასა და ფსიქოლინგვისტიკაში, სადაც ის მიემართება მეტყველების აქტის დაგეგმვასა და განხორციელებას. მეტყველების პროდუცირების შესწავლა მოიცავს არამართო საუბართან დაკავშირებულ ნეირონატომიურ და ნეიროფიზიოლოგიურ მოქმედებებს, არამედ ნერვული საკონტროლო სისტემის მოდელების ჩამოყალიბებასა და შემოწმებას ტვინის მიერ მეტყველების ორგანიზებისას. საგანგებო სტრატეგიას წარმოადგენს მეტყველების რეალიზების გარკვეული მახასიათებლების (პაუზა, წამოცდენა, დინამიკური თავისებურებანი) ანალიზი, როგორც საშუალება ამ სისტემის თვისებების შესახებ დასკვნების გამოტანისა.

მეტყველების კომპეტენცია – წარმოადგენს მომხმარებლის/შემსწავლელის უნარს, აავოს წინადადებები

და დააწყოს ისინი ისეთი თანამიმდევრობით, რომ მიიღოს ლოგიკური მნიშვნელობა.

მეტყველების პროდუცირება – იხ. *მეტყველების გამომუშავება*.

მიზნობრივი (სამიზნე) ჯგუფი – გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული ადამიანთა ჯგუფი. მაგალითად, პროექტის შემთხვევაში სამიზნე ჯგუფი არის იმ ადამიანთა ჯგუფი, ვისაც პროექტის შედეგები მოუტანს გარკვეულ სარგებლობას, ანუ, ვისთვისაც არის განკუთვნილი პროექტი.

მიკროკულტურა – გარკვეული სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი თვისებების, ქმედებებისა და ღირებულებების ერთობლიობა, რომელიც წარმოიშობა გარკვეული კულტურის შიგნით.

მკვიდრი ენა – ენის სახესხვაობა, გამოყენებული გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელიც მიიჩნევა, რომ არის ისტორიული გამოყენების შედეგი, ახლად ჩამოსული ემიგრანტების ენის საპირისპიროდ. ეს უკანასკნელი სახესხვაობები შესაძლებელია არ ეკუთვნოდნენ იმავე ენობრივ ოჯახებს, როგორცაა რეგიონული და/ან ოფიციალური სახესხვაობები შესაბამის ტერიტორიაზე. იხ. *პირველი ენა*.

მოდული – სწავლების დამოუკიდებელი, თანამიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა

ურთიერთკავშირები და თანამიმდევრობა. სასწავლო გეგმა შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე მოდულისაგან.

მონაცემთა ბაზა – მონაცემთა სტრუქტურული ერთობლიობა, რომლის დანიშნულებაც მონაცემთა შენახვა, მოდიფიცირება და წაკითხვა. ეს ტერმინი ძირითადად უკავშირდება ელექტრონული ფორმატის მქონე მონაცემებს, რომლებიც იქმნება და ინახება კომპიუტერული სისტემების გამოყენებით. მონაცემთა ბაზის სტრუქტურა ძირითადად შეესაბამება მონაცემთა ურთიერთმიმართებას. არსებობს მონაცემთა ბაზის სხვადასხვა სტრუქტურა (მაგალითად: რელაციური, იერარქიული, ობიექტზე ორიენტირებული). მათ შორის, დღემდე ყველაზე გავრცელებულია რელაციური სტრუქტურა. ამ ტიპის მონაცემთა ბაზაში მონაცემები ინახება ცხრილების ერთობლიობის სახით, სადაც თითოეული ცხრილი შეესაბამება ერთ ობიექტს. გარდა ამისა, იგი შეიცავს ე.წ. დამხმარე ცხრილებს, რომლებიც გამოსახავს კავშირებს ამ ობიექტებს შორის.

მონიტორინგი – სპეციფიკური ინდიკატორების მიხედვით მონაცემების შეგროვების და გაანალიზების სისტემური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული სიტუაციის/ვითარების შესწავლის და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამის ჩარევებს.

მონოლინგუური – იხ. ერთენოვანი.

მონოლოგი – დიალოგის საპირისპირო ფორმაა. მონოლოგის არსი ის არის, რომ ერთი პირი (პედაგოგი, მომხსენებელი) ხანგრძლივად საუბრობს საკითხზე, ხოლო მსმენელი (მოსწავლე) არის ინფორმაციის პასიური მიმღები. მომხსენებელი შეიძლება იყენებდეს თვალსაჩინოებას და სხვა დამატებით მასალას, მაგრამ არ ცდილობდეს მსმენელის აქტიურ ჩართვას ინფორმაციის გადაცემის პროცესში.

მოსმენა – სმენითი რეცეფციისას (აუდირებისას) ენის მცოდნე იღებს და გადაამუშავებს ზეპირ ინფორმაციას, რომელიც ერთი ან მეტი მოსაუბრისაგან მოდის.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება – პედაგოგიური მიდგომა, რომელიც სასწავლო პროცესის ცენტრში აყენებს მოსწავლეს (და არა მასწავლებელს, როგორც ეს ტრადიციულ მიდგომებშია).

მოსწავლის წიგნი – სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამის ასათვისებლად.

მოტორული ჩვევები – მოძრაობის ჩვევები (მაგალითად, ველოსიპედით სიარული, ღილის, თასმების შეკვრა, ცურვა და ა. შ.).

მრავალენოვანი განათლება – სწავლების ტიპი, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ენის სწავლებით,

რომელიც ცდილობს გაზარდოს ინფორმირებულობა ყოველი ინდივიდის ენობრივი რეპერტუარის შესახებ, ხაზი გაუსვას მის ფასეულობას და განავრცოს ეს რეპერტუარი უცხო ენების სწავლებით. მრავალენოვანი განათლება აგრეთვე ცდილობს აამაღლოს ლინგვისტური მრავალფეროვნების სოციალური და კულტურული გაგება, რათა უზრუნველყოს ლინგვისტური კეთილი ნება და გამოიმუშაოს კულტურათაშორისი კომპეტენცია (იხ. აგრეთვე ლინგვისტური კომპეტენცია). მრავალენოვნებისა და მრავალენოვანი განათლების მიზანი არ არის ენათა დიდი სპექტრის ერთდროულად (სხვადასხვა ენის შედარების მეთოდით ან, შეძლებისდაგვარად, მრავალი ენის) სწავლება. მიზანი განსხვავებულია: მრავალენოვანი კომპეტენცია და კულტურათშორისი განათლება გაიაზრება, როგორც თანაცხოვრების გზა.

მრავალენოვანი კომპეტენცია – უნარი, წარმატებით დაეუფლო და გამოიყენო კომპეტენციები სხვადასხვა ენაში, ცოდნის სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფუნქციებისათვის. მრავალენოვანი განათლების ცენტრალური მიზანი ამ კომპეტენციის განვითარებაა.

მრავალენოვანი რეპერტუარი – იხ. ენობრივი რეპერტუარი.

მრავალენოვნება – უნარი, გამოიყენო ენები კომუნიკაციის მიზნით და მონაწილეობა მიიღო კულტურათშორის ურთიერთობებში, სადაც

პიროვნება, რომელიც მიჩნეულია სოციალურ აგენტად, ფლობს სხვადასხვა ენას გარკვეულ დონეზე და სხვადასხვა კულტურაში აქვს გამოცდილება. ეს არ მიაჩნიათ ცალკე კომპეტენციების შეთავსებად ან შეპირისპირებად, არამედ კომპლექსური ან თუნდაც ერთიანი კომპეტენციების არსებობად, რომლის საფუძველზე შესაძლებელია იმოქმედოს მომხმარებელმა.

მრავალკულტურული რეპერტუარი – ენის დაუფლება მოიცავს კულტურული კომპეტენტურობის შეძენას და სხვებთან ერთად ცხოვრების უნარს. მრავალენოვანი რეპერტუარის განვრცობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასევე გულისხმობს სხვა კულტურებისა და კულტურული ჯგუფების შემდგომ განვითარებას, რამაც ინდივიდს შეიძლება ახლად შეძენილ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებასთან დაკავშირებისკენ უბიძგოს. სხვა ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებთან დაკავშირება დამოკიდებულია არა მხოლოდ შეძენილ ენაზე, არამედ მრავალ სხვა ინდივიდუალურ და სოციალურ ფაქტორებზე

მულტიკულტურული განათლება – სწავლისა და სწავლების პროცესისადმი არსებული მიდგომა, რომელიც ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებსა და ფასეულობებს და მხარს უჭერს კულტურულ პლურალიზმს კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში. ეს მიდგომა ეფუძნება

მოსაზრებას, რომ განათლების მთავარი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს პოტენციალიდან გამომდინარე ყველა მოსწავლის ინტელექტუალურ, სოციალურ და პიროვნულ განვითარებას. მულტიკულტურული განათლება მოიცავს ოთხ ურთიერთდამოკიდებულ პოსტულატს: ა. მოძრაობა თანასწორობის მისაღწევად; ბ. მოძრაობა კურიკულუმის ტრანსფორმაციისთვის; გ. პროცესი ინდივიდის ინტერკულტურული კომპეტენციის გასაზრდელად; დ. ბრძოლა წინარე განსჯისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მულტიკულტურული საზოგადოება – საზოგადოება, სადაც არსებობს სხვადასხვა კულტურის მატარებელი ჯგუფი, რომელთა თანაცხოვრება ეფუძნება საერთო ღირებულებებს; საზოგადოება, რომელშიც განსხვავებული კულტურები ჰარმონიულად ვითარდება და ამ კულტურათა მატარებელი ჯგუფები მშვიდობიანად თანაარსებობენ.

მულტილინგვიზმი – იხ. მრავალენოვნება.

მულტილინგვური – იხ. მრავალენოვანი.

მულტიპლიკატორი – მასწავლებელი, რომელიც ეუფლება გარკვეულ უნარებს იმისათვის, რათა მოამზადოს თავისი კოლეგები; როგორც წესი, მულტიპლიკატორები ამზადებენ კოლეგა პედაგოგებს სწავლების უახლეს მეთოდულ კაში.

მშობლიური ენა – იგივეა, რაც დედაენა: ეს არის ოჯახის ენა; როგორც წესი, ბავშვი პირველად სწორედ მშობლიურ ენას შეისწავლის და შემდეგ – სხვა (მეორე, უცხო) ენებს. მშობლიურ ენას ადამიანი ყველაზე ღრმად და საფუძვლიანად ითვისებს; შესაბამისად, მშობლიური ენა ყოველთვის რჩება მისთვის ემოციურად ყველაზე ახლობელ ენად.

ორენოვანი განათლება – განათლების ტიპი, რომელიც მოიცავს, სულ მცირე, ინსტრუქტირების ორ ენას (მაგალითად, ერთი ენა გარემომცველი გეოგრაფიული ტერიტორიიდან და უცხო/მეორე ენა), რომელიც გამოიყენება სასწავლო მასალის სასწავლებლად და ცოდნის გადასაცემად.

ორენოვნება – ორი ენის გამოყენება ერთი და იმავე ენობრივი ერთობის წევრთა მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. ორენოვნება ზოგჯერ მთელ სახელმწიფოსთან მიმართებით იხმარება, ზოგჯერ რომელიმე საზოგადოებასთან მიმართებით, ზოგჯერ კი სულაც იმ ინდივიდის მიმართ, რომელიც ორ ენას ფლობს. ორენოვნება ზოგჯერ იხმარება განზოგადებულ, მრავალენოვნების მნიშვნელობით.

ორთოგრაფიული კომპეტენცია – მოიცავს იმ სიმბოლოების პერცეფციისა და პროდუცირების ცოდნასა და უნარებს, რომლებითაც წერილობითი ტექსტები იქმნება. ყველა ევროპული ენის წერილობითი სისტემა ემყარება ანბანურ პრინციპს, თუმცა ზოგიერთი ენა მიჰყვება იდეოგრაფიულ

(ლოგოგრაფიულ) პრინციპს (მაგ., ჩინური), ან კონსონანტურ პრინციპს (მაგ., არაბული).

ოფიციალური ენა – მოცემულ სახელმწიფოსა თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მქონე ენა, რომელზეც ქვეყნდება სამართლებრივი დოკუმენტები. ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი პოლიტი(კ)ოლექტი. იხ. **სახელმწიფო ენა**.

პასიური ბილინგვიზმი – ორენოვნების (ბილინგვიზმის) ერთ-ერთი სახეობა, რომლის დროსაც მოლაპარაკე ფლობს მხოლოდ მეორე ენაზე მოსმენისა და კითხვის უნარებს; იხ. **აქტიური ბილინგვიზმი**.

პატუა – ტერმინი ძირითადად გარცელებულია ფრანგულ ენათმეცნიერებაში და აღნიშნავს დიალექტების ნიველირებისა და დეგრადირების შედეგად შემორჩენილ მათ რელიქტებს.

პედაგოგიკა – მეცნიერება აღზრდის, სწავლისა და სწავლების მიზნების, შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების შესახებ, სპეციალურად ორგანიზებული მიზანმიმართული და სისტემატური ქმედებების შესახებ, რომლებიც ორიენტირებულია პიროვნების ჩამოყალიბებაზე. პედაგოგიკა იკვლევს აღზრდის არსსა და კანონზომიერებებს, მის სტრუქტურას, ქმნის სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობის თეორიებს.

პირველი ენა – აკადემიური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ზოგადად მშობლიური ენის აღსანიშნად. ეს არის ენობრივი სახესხვაობა (სახესხვაობები), რომელიც შექმნილია ადრეულ ბავშვობაში, ორი-სამი წლის ასაკამდე. ამ სახესხვაობას განსაკუთრებული სტატუსი აქვს ბავშვისათვის, რამდენადაც ბავშვი მისით აღმოაჩენს სამყაროს ადრეული სოციალიზაციის ფარგლებში: ლინგვისტური ურთიერთქმედებანი სხვა მოლაპარაკებთან აუცილებელია ნორმალური განვითარებისათვის. ეს არის სახესხვაობა, რომელშიც ადამიანის ენობრივი ნიჭი პირველად გამოვლინდება ბუნებრივ ენაზე. ხშირად ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი მშობლიური ენა, თუმცა, ეს არის ყოველდღიურად გამოსაყენებელი ტერმინი, რომელსაც, ამის მიუხედავად, აქვს ემოციური ქვეტექსტი, მაგალითად, ოჯახი და წარმოშობა, რომლებიც ხშირად არ არის პირველადი ენობრივი ტერმინი. აღსანიშნავია, რომ ენობრივი სახესხვაობა, რომელშიც შესაძლოა განისაზღვროს ამა თუ იმ წევრის მიკუთვნება ჯგუფისადმი, აუცილებელი არაა, იყოს პირველი ენა; შესაძლოა, ეს იყოს მოგვიანებით შექმნილი სახესხვაობა.

პირველი ენის გავლენა – იხ. ტრანსფერი.

პიჯინი – („საქმიანი, პრაქტიკული“ – მიღებულია ჩინელების მიერ ინგლისური სიტყვის

გამარტივებით: ბუსინესს ბიზინს პიჯინ) – ერთი ენის მეორეზე ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ახალი ენა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ პრაქტიკულ ურთიერთობებში და ხასიათდება მოწესრიგებული (თითქმის გამონაკლისების გარეშე), მაგრამ უკიდურესად გამარტივებული გრამატიკულ-ლექსიკურ-ფონეტიკური აგებულებით (რის გამოც ამ ენაზე ვერ ყალიბდება რთული ცნებები და რთული აზრები, ფაქიზი გრძნობები, მხატვრულობა და სხვა მაღალადამიანური გამოხატულებანი). ზოგი პიჯინი წარმოქმნილია მონათესავე ენების შერწყმით, ძირითადად ერთ-ერთი მათგანის საფუძველზე (მაგ., აფრიკაში ბანტუ); ზოგი კი – არამონათესავე, ევროპული (მაგ., ინგლისური, ფრანგული, ჰოლანდიური, ესპანური, პორტუგალიური) და ადგილობრივი სუბსტრატული ენების შეჯვარების შედეგად, მაგ., ჩინური/ინგლისური.

პიჯინიზაცია – ორ ან რამდენიმე სხვადასხვაენოვან ერთობას შორის სიტუაციურად შეზღუდული და არასისტემური კონტაქტების პირობებში წარმოქმნილი და განვითარებული სოციოლინგვისტური პროცესი, რომლის შედეგადაც ერთ-ერთი ენა განიცდის მნიშვნელოვან რედუქციას და არსებით სტრუქტურულ სახეცვლილებას და ამგვარად ვიღებთ პიჯინს.

პლურალისტური საგანმანათლებლო პარადიგმა – პლურალისტური, ანუ ინტეგრაციულია საგანმანათლებლო პარადიგმა, რომელიც გულისხმობს ისეთი მოდელის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ინდივიდის კომპეტენციას ორ ენაზე, ორ კულტურაში. ეს პარადიგმა უარყოფს როგორც ასიმილაციურულ, აგრეთვე იზოლაციონისტურ პარადიგმებს და, ერთი მხრივ, გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების მხრიდან მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებას და განვითარებას, მეორე მხრივ, დომინანტი ეთნიკური ჯგუფის ენისა და კულტურის ზიარებას. ამ მოდელის პირობებში ინდივიდს ეფექტური და წარმატებული ფუნქციონირების შესაძლებლობა ეძლევა როგორც მშობლიურ, ასეთვე დომინანტი ეთნიკური ჯგუფის კულტურულ გარემოში.

პლურილინგვიზმი – ერთი ინდივიდის უნარი, ფლობდეს ორზე მეტ ენას.

პოლიგლოსია – ცვლადების რაოდენობის მიხედვით უფრო გართულებული დიგლოსიური სიტუაცია. იხ. **დიგლოსია**.

პოლიგლოტი – იგივე მულტილინგვი, ანუ ადამიანი, რომელიც ერთდროულად ფლობს სამ-ოთხ ან მეტ ენას.

პოლილინგვიზმი – იხ. **მრავალენოვნება**.

პორტფოლიო – საქალაქო, რომელშიც სწავლის პროცესში მონაწილე ინახავს თავის ნამუშევრებს.

დავალების ამ ფორმას იყენებენ კეთებით სწავლების დროს. პორტფოლიო შეიძლება შეიცავდეს მოსწავლის მიერ შესრულებულ საშინაო და საკლასო დავალებებს, ჯგუფური პროექტების ანგარიშებს და ა. შ. პორტფოლიოს დანიშნულებაა, მოსწავლემ თავად შეაფასოს თავისი ნაშრომები და გააცნობიეროს, თუ რა შეცდომები დაუშვა და როგორ შეიძლება მომავალში ამ შეცდომების აცილება. იხ. **ენობრივი პორტფოლიო.**

პრაგმატიკა – უნარი იმისა, რომ ბუნებრივი ენის მატარებელმა თანამოსაუბრეს შეატყობინოს და გადმოსცეს იმაზე მეტი, ვიდრე იმპლიციტურად არსებული რეალობაა.

პრაგმატული კომპეტენციები – ენის ფუნქციონალური გამოყენების კომპეტენციები (მაგ.: სოციალური სცენარი, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ კონკრეტულ სოციალურ ღონისძიებასა ან ინტერვიუზე).

პრეზენტაცია – რაიმე საკითხის აუდიტორიის წინაშე საჯარო წარდგენის პროცესი. პრეზენტაცია უნდა იყოს მოკლე (არაუმეტეს 20-30 წუთისა), აზრიანი და საინტერესო. კარგად მომზადებული შინაარსის და სხვადასხვა თვალსაჩინოების გამოყენების (ფლიპჩარტი, მასალები და ა. შ) გარდა, ასევე, აუცილებელია მომხსენებელმა გაითვალისწინოს არავერბალური კომუნიკაციის ისეთი ელემენტები, როგორცაა ხმის ტემბრი,

სხეულის ენა და გარეგნობა; პრეზენტაცია
სპეციალურ მომზადებას საჭიროებს.

პრინციპული ენა – ენობრივი სახესხვაობა, რომელიც
გამოიყენება მოსაუბრის მიერ ყველაზე ხშირ ან
უპირატეს კომუნიკაციურ სიტუაციებში
(სამუშაო, სოციალური ცხოვრება), იმ
სახესხვაობათა საპირისპიროდ, რომლებიც
გამოიყენება ცალკეულ შემთხვევებში ან
შეზღუდულია გამოყენების ცალკეული
სფეროებით: მაგალითად, ოჯახის ენა; იგივე –
ჩვეულებრივი ენა.

პროგრამის შინაარსი – რეკომენდაციები, თუ რომელი
თემების საფუძვლიანი შესწავლით შეიძლება
გარკვეული შედეგების მიღწევა თითოეულ
საგანში.

პროდუცირება – ადამიანის უნარი, გადმოსცეს თავისი
აზრები ამა თუ იმ ენაზე; პროდუცირების ორი
ენობრივი უნარი არსებობს: ზეპირი (ლაპარაკი)
და წერითი (წერა). პროდუცირების უნარები
(რეცეფციულისგან განსხვავებით) – აქტიური
უნარებია.

პროდუქტიული უნარები – პროდუქტიულ უნარებს
განეკუთვნება ლაპარაკი და წერა.

პროექტი – კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან
ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული
მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც
უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი,
შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და

კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი (მაგ. წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, დებატები, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა. შ.). შესაძლებელია, მოსწავლემ პროექტი შეადგინოს და განახორციელოს ინდივიდუალურად, მაგრამ უფრო ნაყოფიერი და წარმატებულია ჯგუფური სამუშაო. პროექტის საკითხებს მოსწავლეები შედარებით ხანგრძლივი დროის (ერთი ან რამდენიმე კვირის) განმავლობაში ამუშავებენ და შემდგომ წარუდგენენ მთელ კლასს ან უფრო ფართო აუდიტორიას. პროექტის განხორციელება მოსწავლეს უვითარებს მიღებული ცოდნის და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევებს.

პროფესიული/კვალიფიციური (C) დონე – ენის პროფესიული ფლობის დონე. ამ შემთხვევაში ენის გამომყენებელს არ ექმნება სირთულეები მიზნობრივი ენის გამოყენებისას: არა აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ ეს არ არის გამომყენებლის მშობლიური ენა.

ჯარგონი – (ფრ. ჯარგონ, პროვ. გერგონ (XIII ს.), იტ. გერგონე (XIV ს.), გერგო (XVI ს.)) ამა თუ იმ სოციალური, ასაკობრივი ან პროფესიული ჯგუფისათვის დამახასიათებელი სოციალური დიალექტი, რომელიც ძირითადად ლექსიკითა და ფრაზეოლოგიზმებით გამოირჩევა. ეს ტერმინი დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა მეტყველების აღსანიშნავად პირველად გვხვდება საფრანგეთში XIII-XIV საუკუნეებში.

რეგიონული ენების ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია – მოუწოდებს იმისკენ, რომ სახელმწიფოებმა აიღონ ვალდებულება, მხარი დაუჭირონ უმცირესობათა ენების სწავლებას, შესწავლასა და განვითარებას (სახელმწიფო ენის სწავლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე). ქარტია 1992 წელს შეიქმნა. საქართველო 2006 წელს შეუერთდა მას, თუმცა ჯერ არ მოუხდენია რატიფიკაცია პარლამენტში.

რელიგიოლექტი – ამა თუ იმ რელიგიის საკულტო ენა (ძველი ქართული და სლავური – ქართულ და რუსულ მართლმადიდებლობაში, ლათინური – კათოლიციზმში, კლასიკურ არაბული – ისლამში, სანსკრიტი – ჰინდუიზმში და ა. შ.).

რეცეფცია – ადამიანის უნარი, გაიგოს მოსმენილი ან დაწერილი. მხოლოდ რეცეფციული უნარების დაუფლება შემსწავლელისთვის არ არის საკმარისი, ამ ენაზე ურთიერთობა აწარმოოს

სხვასთან. რეცეფციული უნარები პასიური უნარებია.

რეცეფციული უნარები – რეცეფციულ უნარებს განეკუთვნება მოსმენა და კითხვა.

საბაზო ინტერპერსონალური საკომუნიკაციო უნარები (სიკუ) – ენის შრე, რომელსაც ვიყენებთ ყოფით სიტუაციებსა და ყოველდღიურ ურთიერთობაში. ენის ამ შრეს ბავშვები ითვისებენ ეზოში თამაშის, ტრანსპორტით მგზავრობის, ტელეფონზე საუბრის, სკოლაში მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს. სოციალური ურთიერთობები კონტექსტშია ჩასმული და, როგორც წესი, დამხმარე საშუალებებითაა განმტკიცებული (ჟესტი, მიმიკა და სხვ.). ისინი ფუნქციონალურია და ნაკლებად მოითხოვს კოგნიტურ დაძაბულობას. ენა ნაკლებად არის დატვირთული სპეციფიკური ლექსიკური ერთეულებით.

საერთაშორისო ენა – სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა საურთიერთო ენა. ამ ფუნქციით შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ენები. თანამედროვე მსოფლიოში ენისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება, უპირველესად, დამოკიდებულია ექსტრა-ლინგვისტური (პოლიტიკური ეკონომიკური, კულტურული) ფაქტორების ერთობლიობაზე.

საგნობრივი პროგრამები – ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს შეადგენს

საგანმანათლებლო პროგრამები თითოეულ საგანში. საგნობრივი პროგრამა შედგება საგნის კონცეფციისგან, საგნობრივი სტანდარტებისა და პროგრამის შინაარსისგან.

საგნობრივი სტანდარტი – ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ადგენს იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს კონკრეტული საგანში ან/და საგნობრივი ჯგუფში სასწავლო წლის დასასრულისთვის.

საზოგადოება – ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ჯგუფი საერთო წარმომავლობითა და დამახასიათებელი თვისებებით, რაც აკავშირებს მათ: როგორცაა ენა, რელიგია, კულტურული გამოცდილება და ტერიტორია. ამ კომბინაციამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს დამახასიათებელი ჯგუფური თვისებების წარმოქმნას, მაგრამ ესენი არ გამოხატავენ არც წარმოშობის ან ადრე არსებულ მახასიათებლებს.

საზოგადოების სოციოლინგვისტიკა – იხ. ენის სოციოლოგია.

საზოგადოებრივი ინტეგრაცია – პროცესი, რომლის მიზანია ქვეყნის მთელი მოსახლეობის ჰარმონიული თანამშრომლობა. საზოგადოებრივი ინტეგრაცია ქმნის პირობებს, რათა განსხვავებული სულიერი ღირებულებებისა და მატერიალური მოთხოვნის მატარებელი ადამიანები ცხოვრობდნენ ერთმანეთის

გვერდიგვერდ, მშვიდობასა და თანხმობაში; ინტეგრირებული საზოგადოება ერთობლივად აშენებს ერთიან, ძლიერ სახელმწიფოს.

საკლასო სწავლება – ენის კლასები (ან ენის გაკვეთილები) ახლა სწავლების დომინანტური ფორმაა. ისინი კლასიფიცირდება შემსწავლელთა ჯგუფისთვის სწავლების პრეზენტაციური სტილით საგანმანათლებლო ორგანიზაციაში რიტმის სქემის მიხედვით (ხანგრძლივობა და დროის განრიგი, დაგეგმილი წლიურად ან სემესტრულად). ეს დომინანტური ფორმა, ამასთანავე, ყველაზე შეზღუდულია, რომელიც მოითხოვს მასწავლებლის და მოსწავლეების ყოფნას დადგენილ ადგილზე, რაც შეიძლება გულისხმობდეს, რომ შემსწავლელები უნდა გადაადგილდნენ, დაგეგმონ დრო და მისთ. ეს არის ენის სწავლის აკადემიურად ჩამოყალიბების ყველაზე თვალსაჩინო გზა, რადგანაც ის აერთიანებს ენის სწავლებას სხვა საგნების სწავლებასთან, თუმცა ენის სწავლება შესაძლებელია იყოს მიმდინარე. სახესხვაობები და მათი სწავლება/ სწავლის ეტაპები, რომლისთვისაც სწავლების ეს ფორმა უნდა იყოს დაცული ან გამოყენებული, როგორც სასურველი ფორმა გამოსაკვლევად. ასეთი სიხისტის მიუხედავად, ენის სწავლება შესაძლებელია დარეგულირდეს სწავლების სასურველ ფორმად.

სალიტერატურო ენა – ენის ნორმირებული, სტანდარტიზებული და კოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც ყველაზე პრესტიჟულია და, მიუხედავად სახელწოდებისა, არ წარმოადგენს მხოლოდ ლიტერატურის ენას. ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი **სამწიგნობრო ენა**.

სამეტყველო აქტი – მოცემულ საზოგადოებაში მიღებული სამეტყველო ქცევის წესებისა და პრინციპების შესაბამისად განხორციელებული მიზანმიმართული სამეტყველო ქმედება. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: ინტენციურობა, მიზანმიმართულობა და კონვენციურობა. სამეტყველო აქტების თანამიმდევრული ერთობლიობა გვაძლევს დისკურსს.

სამეტყველო ერთობა – იხ. **ენობრივი ერთობა**.

სამეტყველო კოლექტივი – იგივეა, რაც **ენობრივი კოლექტივი**. იხ. **აგრეთვე ენობრივი ერთობა**.

სამეტყველო ქცევა – საზოგადოებრივი ქცევის სახე, რომელიც შეპირობებულია გარეგანი, მათ შორის სოციალური, ფაქტორებით. ცნება თავდაპირველად გაჩნდა ამერიკულ ბიჰევიორიზმში და მოგვიანებით დამკვიდრდა სოციოლინგვისტიკაშიც.

სამწიგნობრო ენა – იხ. **სალიტერატურო ენა**.

სასწავლო გარემო – ეს არის იმ სკოლის გარემო, სადაც სწავლობს მოსწავლე, სკოლასა და კლასში

არსებული ყველა სასწავლო საშუალებისა და რესურსების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესის სწორად წარმართვას წინასწარ დაგეგმილი მიზნების მისაღწევად. სასწავლო გარემო შედგება ფიზიკური და სოციალური ელემენტებისაგან. კერძოდ, ადამიანური რესურსები ზეგავლენას ახდენს მოსწავლის სასწავლო გარემოს ფორმირებაზე (მოსწავლე-მასწავლებლის, მასწავლებელი-მასწავლებლის, მოსწავლე-მოსწავლის, სკოლა-მშობლის ურთიერთობები), ასევე, მატერიალურ-ტექნიკური მახასიათებლები (სკოლის არქიტექტურა, დეკორაციები, მოწყობილობები და სხვა).

სასწავლო გეგმა – დოკუმენტი, რომელიც ნებისმიერი საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპისათვის მოიცავს: საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებს, მოსწავლეთა სავალდებულო და მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი ეტაპის დამთავრებისას, ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას. ასეთ დოკუმენტს ადგენს: სახელმწიფო, საგანმანათლებლო დაწესებულება ან მათი გაერთიანება და მასწავლებელი განათლების

სხვადასხვა მიმართულებისა (საგნის) და საფეხურის შესაბამისად. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განასხვავებენ რამდენიმე სახის სასწავლო გეგმას, კერძოდ: ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლის სასწავლო გეგმას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სასწავლო შედეგი – ინფორმაციის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელსაც მოსწავლეები იძენენ სწავლის პროცესში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ, არამედ ცოდნის ხარისხიც: როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია მოსწავლეს ამ ცოდნის გამოყენება ცხოვრებაში. სასწავლო შედეგები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროცესის ნებისმიერი მონაკვეთისთვის (გაკვეთილი, კვირა, ტრიმესტრი, სასწავლო წელი, ზოგადი/უმაღლესი განათლების საფეხური თუ სხვა).

სატიტულო ენა – საბჭოურ ენათმეცნიერებაში შემოღებული ცნება, რომელიც გამოიყენებოდა სახელმწიფოში არსებული იმ ენების აღსანიშნავად, რომელთა თვითსახელწოდებები ემთხვეოდა მათი გავრცელების პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულთა სახელწოდებებს.

საფუძვლის გაძლიერებულად ფლობა (A2+ დონე) – ეს დონე გამოირჩევა საუბარში უფრო აქტიური მონაწილეობით, თუმცა შემსწავლელი კვლავ შეზღუდულია გამოხატვის ფორმების ხმარებაში

და შეიძლება დასჭირდეს მოსაუბრის დახმარება. ამ დონის დესკრიპტორები შეიძლება ამგვარად დავახასიათოთ: შემსწავლელს შეუძლია საუბრის დაწყება და საუბარში მონაწილეობა; უკვე ესმის იმდენი, რომ ძალდატანების გარეშე წარმართოს ყოფით თემებზე საუბარი; შეძლებს ინფორმაციის გაცვლას, აზრის ნათლად გადმოცემას და გაზიარებას ნაცნობ თემებზე ყოველდღიურ გათვალისწინებულ სიტუაციებში იმ პირობით, რომ შეფერხებისას მოსაუბრე მას დაეხმარება ფორმულირების ჩამოყალიბებაში; ამავე დროს ეს დონე ითვალისწინებს მონოლოგის ფართო შესაძლებლობას.

საკოფაცხოვრებო ჩვევები – იხ. ჩვევა.

სახელმწიფო ენა – ენა, რომელზეც ხორციელდება სახელმწიფო ფუნქციები: საქმისწარმოება, პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციონირება, აგრეთვე სხვადასხვა ღონისძიება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

სემანტიკური კომპეტენცია – უპასუხებს შემსწავლელის უნარს, გამოხატოს გარკვეული აზრი და აკონტროლოს მისი გამოხატვა.

სემილინგვიზმი – ორენოვანი ინდივიდის ან სამეტყველო ერთობის არასრულფასოვანი (დეფიციტური) კომპეტენცია ორივე ენაში. პირველად ეს ტერმინი ახსენა შვედმა ფილოლოგმა ნ. ე. ჰანსეგორდმა 1962 წელს. ამავე ცნების

აღსანიშნავად გვხვდება ასევე ტერმინი **შეზღუდული ორენოვნება**.

სერტიფიცირება – მასწავლებლის პროფესიული მომზადებისა და განვითარების ახალ სქემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ეროვნულ სასერტიფიკაციო გამოცდებს. მასწავლებლობის მსურველმა, შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღებისა და სკოლაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ, უნდა ჩააბაროს ეროვნული სასერტიფიკაციო გამოცდა, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაშიც ის მოიპოვებს სწავლების უფლებას. ეროვნულ სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა მასწავლებლობის მსურველთათვის სავალდებულო იქნება მხოლოდ ერთხელ. პროფესიული განვითარებისა და წვრთნის აკრედიტებულ პროგრამებში წარმატებული მონაწილეობა და აგრეთვე ეროვნული სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება (გადაბარება) საჯარო სკოლამ შეიძლება გამოიყენოს როგორც ობიექტური საფუძველი მასწავლებლის კარიერული დაწინაურებისა და მისი ანაზღაურების ზრდისთვის.

სივრცითი ლინგვისტიკა – იხ. **არეალური ლინგვისტიკა**.

სილაბუსი – წარმოადგენს სასწავლო კურსის პროგრამას. მასში მოცემულია კურსის სათაური, სწავლების საფეხური, მიზანი და ამოცანები, სწავლების ფორმატი (სწავლების მეთოდი), კურსის

საათობრივად გაწერილი შინაარსობრივი გეგმა გამოყენებული სახელმძღვანელოების გვერდების ან სხვა რესურსების დეტალური მითითებით, ასევე კურსის შეფასების პრინციპები (შუალედური, შემაჯამებელი, განმსაზღვრელი და სხვა), მოსალოდნელი შედეგები. უმაღლეს სასწავლებლებში სილაბუსი აწესრიგებს ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობას. სასწავლო კურსის დაწყებისას სტუდენტმა სილაბუსის მეშვეობით უნდა გაიგოს, თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს. მეორე მხრივ, სილაბუსის მეშვეობით უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას შეუძლია შეამოწმოს ლექტორის აკადემიური საქმიანობის ხარისხი.

სისტემური ბილინგვური განათლება – ითვალისწინებს ბილინგვური საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებას ცენტრალურ დონეზე; ამ პოლიტიკის ფინანსურ და საკანონმდებლო უზრუნველყოფას სახელმწიფოს მხრიდან.

სკაფოლდინგი – გულისხმობს მასწავლებლის მხრიდან გაწეულ მიზნობრივ, დროებით დახმარებას ენის იმ შემსწავლელებისათვის, რომლებიც განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში დასმულ ამოცანას ასრულებენ. სკაფოლდინგი აღიწერება, როგორც ენობრივი განვითარების უფრო მაღალ დონეებამდე მისაღწევად შექმნილი ხელშეწყობისა და სტიმულირების

დროებითი, ბიძგის მიმცემი პლატფორმა. სკაფოლდინგის დროებითი ხასიათი განიმარტება, როგორც მასწავლებლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის თანდათანობითი მოხსნა.

სლენგი – სოციალური დიალექტის სახესხვაობა, რომლის ენობრივი ქსოვილი ძირითადად სუბსტანდარტული ლექსიკური ერთეულებისაგან შედგება. ტრადიციულად გამოიყოფა „საერთო სლენგი“ (*general slang*), რომელიც ახლოს დგას სასაუბრო ენასთან, და „სპეციალური სლენგი“ (*special slang*), რომლის ნაირსახეობებიც უფრო პროფესიულ ენებს უახლოვდებიან.

სოციალური დიალექტები – არგო/სლენგები და მათი სახე – ჟარგონი. განსხვავებით ტერიტორიული დიალექტების ანუ კილოებისგან, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სოციალური დიალექტი. ეს უკვე განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ შორის ლინგვისტური განსხვავებაცაა: სოციალურ დიალექტს თავისი არც ფონემატური სისტემა აქვს და არც გრამატიკა. ამიტომ მისგან ენა არ მიიღება. იგი საერთო სახალხო ენისგან მხოლოდ ლექსიკით განსხვავდება, რაც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთანაა დაკავშირებული.

სოციალური კოგნიცია – ანუ შემეცნება, ეხება პიროვნების მიერ სხვა ადამიანების აზრების, გრძნობების და განზრახვების გაცნობიერების პროცესს. სოციალური შემეცნება საფუძვლად უდევს სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. კერძოდ, სოციალური შემეცნება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმას, თუ როგორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდება ბავშვს სხვა ბავშვების და უფროსების მიმართ, როგორ განუვითარდება მას სხვათა პატივისცემისა და ურთიერთგაგების ჩვევები.

სოციალური რეპრეზენტაცია – კონცეფცია სოციალური ფსიქოლოგიის სფეროდან, რომელიც აღწერს საერთო სოციალურ ცოდნას ფენომენზე, ხშირად გაკრიტიკებული, როგორც სტერეოტიპი, კლიშე ან ცილისწამება. ასეთი რეპრეზენტაციები ზემოქმედებენ, თუ როგორ აღიქვამენ სოციალური მოღვაწეები სამყაროს მათ გარშემო.

სოციალური უნარ-ჩვევები – იმ უნარ-ჩვევათა კრებულისა, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანთა თანაარსებობას. სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას საფუძვლად უდევს სოციალური შემეცნება. ეს არის ადამიანის ცოდნა მეორე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის აზრების, გრძნობების და განზრახვების შესახებ. სოციალურ შემეცნებას აქვს უდიდესი ზეგავლენა იმაზე, თუ როგორი მიმართება ჩამოუყალიბდება ბავშვს სხვა ბავშვებისა და

უფროსებისადმი; როგორ განუვითარდება მას სხვისი პატივისცემის და ურთიერთგაგების ჩვევები. სოციალურ უნარ-ჩვევებში განიხილავენ: პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, სხვის პატივისცემას, თანამშრომლობას, კონფლიქტის გადაჭრას, ჯგუფში გადაწყვეტილების მიღებას, ჯგუფში როლების მრავალფეროვნების მიღებას.

სოციოლინგვისტიკა – საენათმეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ენას საზოგადოებრივ კონტექსტში, მის ურთიერთობას საზოგადოებრივ ფაქტებთან, მის სოციალურ და სიტუაციურ ვარირებას, ენობრივ სიტუაციას, ენობრივ პოლიტიკას და ა. შ. ენის სამეცნიერო ინტერესი ენის საზოგადოებრივი ბუნების მიმართ გაღვივდა საფრანგეთში XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან. სოციოლინგვისტიკაში გამოიყოფა ორი დიდი სფერო: მაკრო-სოციოლინგვისტიკა და მიკროსოციოლინგვისტიკა.

სოციოლინგვისტური კომპეტენციები – დაკავშირებულია ენის გამოყენების სოციოკულტურულ პირობებთან, როგორცაა ზრდილობიანი ფორმები ან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის რეპერტუარი.

სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულა – პირობით აღნიშვნათა ტევადი სისტემა, რომელიც გამოიყენება ერთ, მოცემულ სახელმწიფოში

არსებული ენობრივი სიტუაციის აღსაწერად, და რომელიც საშუალებას იძლევა, ფორმულით გამოვსახოთ რეალური სოციოლინგვისტური მიმართებები. სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულა თავდაპირველად შეიმუშავა ამერიკელმა ენათმეცნიერმა ჩ. ფერგიუსონმა.

სპორტული ჩვევები – იხ. ჩვევა.

სრული ფიზიკური რეაქცია (სფრ) – მეორე ენის ათვისების საწყის ეტაპზე მეტად ეფექტურ კომუნიკაციურ მეთოდს წარმოადგენს. იგი გულისხმობს: ა) გასაგებად მიწოდებულ „შენატანს“ (input); ბ) ე. წ. „დუმილის პერიოდს“ (ენის ათვისების პროდუცირებამდეელი ფაზა, როცა ენის ამთვისებელი, ძირითადად, აქტიურ მსმენელად გვევლინება); გ) გრამატიკაზე კონცენტრირების ნაცვლად, რელევანტურ შინაარსზე ფოკუსირებას.

სტანდარტი – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სწავლების მიზნებს და სასწავლო საგნების შინაარსს. საქართველოში სტანდარტებს ეწოდება ეროვნული სასწავლო გეგმები. სტანდარტში, საზოგადოდ, ასახულია ცოდნისა და უნარების ის სავალდებულო მინიმუმი, რომელიც მოეთხოვებათ შემსწავლელებს. იხ. **ენობრივი სტანდარტი**.

სტანდარტიზაცია – სოციოლინგვისტურ ტიპოლოგიაში გამოყენებული ატრიბუტი, ანუ, თვისებრივი ნიშანი, რომელიც განისაზღვრება იმის

მიხედვით, აქვს თუ არა ენას კოდიფიცირებულ ნორმათა დადგენილი ერთობლიობა, რომელთაც აღიარებს მოცემული ენობრივი ერთობა და რომელიც წარმოადგენს ამ ენის ფორმალური სწავლების საფუძველს. აქ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ კოდიფიკაცია არა მარტო უნდა არსებობდეს, არამედ აღიარებულიც უნდა იყოს, რომ ენა სტანდარტიზებულად მივიჩნიოთ. ამის გამო ლექსიკონებისა და გრამატიკების ქონა აუცილებელი, ოღონდ არა საკმარისი პირობაა სტანდარტიზაციისათვის.

სტერეოტიპი – ერთ-ერთი სოციოლინგვისტური ცვლადი, რომელიც სარკისებურად იმეორებს ინდიკატორს, რადგანაც მასზე გავლენას ახდენს სოციალური ფაქტორები, მაგრამ განიცდის სტილისტურ ცვალებადობასაც.

სუბკულტურა – გარკვეულ სოციოკულტურული ჯგუფის შიგნით წარმოქმნილი სპეციფიკური მახასიათებლების მქონე მცირე ჯგუფი, რომელიც განსხვავდება უფრო დიდი ჯგუფისაგან, რომლის ფარგლებშიც ის ჩაისახა. სუბკულტურა გამოირჩევა იდეებით ან ქმედებებით კულტურის შიგნით. მაგალითად, კორპორაციული კულტურა, რომელიც ახასიათებთ ამა თუ იმ კორპორაციის თანამშრომლებს, ნარკომანთა კულტურა, ანუ, ქცევათა ერთობლიობა, რომელიც ახასიათებთ ნარკოტიკის მომხმარებლებს. სუბკულტურა

შეიძლება ჩამოყალიბდეს დემოგრაფიული ნიშნითაც, მაგალითად, მოხუცთა კულტურა, ზრდასრულთა კულტურა, მოზარდთა კულტურა და ა.შ.

სუბსტრატი – ენის თავისებურებათა (დაწყებული ფონეტიკური და დამთავრებული ლექსიკურ-სემანტიკური) ერთობლიობა, რომელთა ამოსავალი საძიებელია მოცემულ არეალში მანამდე გავრცელებულ ენაში, ე. ი. ამა თუ იმ ტერიტორიაზე ადრე არსებული ენის დანალექი იმავე არეალში მოგვიანებით გავრცელებულ და ამჟამად არსებულ ენაში.

სუპერსტრატი – ენის თავისებურებათა (დაწყებული ფონეტიკური და დამთავრებული ლექსიკურ-სემანტიკური) ერთობლიობა, რომელთა ამოსავალი საძიებელია მოსული ეთნიკური (როგორც წესი, უკვე ასიმილირებული) ჯგუფის ენაში.

სწავლების მეთოდები – მასალის მიწოდების სისტემატური გეგმა, გზა, ტექნიკა. მასწავლებელი იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდს, რათა მოახდინოს სასწავლო პროცესის წარმართვა. ძირითადად არსებობს შემდეგი სახის მეთოდები: დიდაქტიკური მეთოდი, სოკრატული მეთოდი, კეთებით სწავლება, სოციალური სწავლება და ა. შ.

სწავლების ხერხი – სწავლების პროცესში გამოიყენებენ სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომელიც

შეესატყვისება სწავლების სხვადასხვა მეთოდების ძირითად პრინციპებს. სწავლების ხერხებია: სიმულაცია-როლური თამაში (სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენების დროს), გონებრივი იერიში (ძირითადად, სწავლების სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს), ვიზუალიზაცია – თვალსაჩინოების გამოყენება (სწავლების დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს), ინსტრუქციის ნაბიჯ-ნაბიჯ მიწოდება (სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენების დროს), არაორდინალური კავშირების გაკეთება (სწავლების სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს), რეზიუმირება-შეჯამება (სწავლების დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს) და სხვ.

სწავლის მოტივაცია – ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი, რაც ნაკლებად არიან მოტივირებულნი, შესაბამისად, სწავლის ხარისხიც იკლებს. არსებობს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. მოსწავლის სასწავლო აქტივობები შეიძლება განპირობებული იყოს მისი შინაგანი ან გარეგანი მოტივაციით. საინტერესო აქტივობები ეფუძნება მოსწავლის შინაგან მოტივაციას. შინაგანად მოტივირებული

მოსწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია თავად აქტივობა, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო.

სწავლის სწავლა – შეიძლება გავიგოთ, როგორც სწავლისკენ მიმართული სტრატეგიულად ეფექტური ქმედება, რომელიც წინასწარ არის დაგეგმილი, ხოლო წინასწარ განზრახულად სწავლა უნარია, რომლის სწავლაც/შეძენაც შესაძლებელია. მართალია, სწავლის უნარ-ჩვევები ავტომატურად არ გადადის ერთი სიტუაციიდან მეორეში, მაგრამ ეს შესაძლებელია, თუ მეტი ყურადღება მიექცევა მათი გამოყენების კონტექსტს შემსწავლელის ცხოვრებასა და ქმედებებში.

სწავლის ტიპები – ცნებაა და მიგვანიშნებს იმაზე, თუ ვის როგორ ურჩევნია ან უადვილდება სწავლა; ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ ინფორმაციის გადამუშავების (აღქმა, აღბეჭდვა, შენახვა) გარკვეულ მეთოდებს. სასურველია, რომ მასწავლებელმა შეაფასოს მოსწავლეთა სწავლის სტილი და მის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები მაქსიმალურად მოარგოს მათს ინდივიდუალურ სტილს. იმის ცოდნა, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა სწავლის სტილი აქვთ, მასწავლებლისთვის აუცილებელი ხდება სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების ფლობა და გამოყენება, რაც მას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მეტად ჩართვაში დაეხმარება.

გამოყოფენ სწავლის ოთხ ძირითად ტიპს: ტაქტილური (შეხებითი), კინესთეტიკური (მოდრაობითი), მხედველობითი და სმენითი.

სწავლის უნარი – შეძენილი გამოცდილების მიღებისა და უკვე არსებული ცოდნის ახალთან ინტეგრირების უნარი.

ტოლერანტობა – ადამიანის შესაძლებლობა, აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ეცევა, ღირებულებები. ტოლერანტული ღირებულებების განვითარების მიზანია, მოსწავლეებს შეეძლოთ არაძალადობის გზით განსხვავებულ კულტურის, რასის, სქესისა და რელიგიის მქონე ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის დამყარება.

ტრანსფერი – პირველი ენის გავლენა; უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში ტრანსფერი აღნიშნავს პირველი ენის გავლენას შესასწავლ ენაზე. ტრანსფერის შედეგები შეადგენს ინტერენის ნაწილს.

უმცირესობა – არსებობს მხოლოდ უმრავლესობასთან მიმართებით და, შესაბამისად, შეიძლება მარტივად განიმარტოს, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელიც არ მიეკუთვნება ამ თუ იმ საზოგადოებაში უმრავლესობას. უმცირესობა შეიძლება იყოს პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური, სქესობრივი.

უმცირესობის ენა – ხშირად გამოიყენება ენობრივი უმცირესობის მნიშვნელობით, თუმცა ამ უკანასკნელს პრინციპულად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: უმცირესობა შესაძლოა იყოს ეთნიკური, ეროვნული (რელიგიურიც), თუმცა ენობრივი უმცირესობა არ გულისხმობს რომელიმე ეთნიკური (ეროვნული) ჯგუფისადმი მიკუთვნებას; მაგალითად, აზერბაიჯანული, სომხური ენები საქართველოში უმცირესობათა ენებად განიხილება; ამავე დროს ისინი ენობრივი უმცირესობებია (დომინანტ ენასთან – ქართულთან მიმართებით); სვანური, მეგრულ-ლაზური – ენობრივი უმცირესობებია და არა უმცირესობათა ენები.

უმწერლობო ენა – ენა, რომელსაც არ გააჩნია დამწერლობა და არსებობს მხოლოდ ზეპირი ფორმით. ტერმინი უმწერლობო ენები, როგორც წესი, მცირერიცხოვან ეთნოსებთან დაკავშირებით გამოიყენება, რომელთაც არ შეუქმნიათ ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები; უმწერლობო ენებია, მაგალითად, ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური. სალიტერატურო ენა ყველა ქართველური ტომისათვის ქართული ენაა.

უნარ-ჩვევა – თუ ადამიანი აწარმოებს სათანადო მოქმედებას, მას თანდაყოლილი უნარიდან გარკვეული უნარ-ჩვევა განუვითარდება, ხოლო თუ მას არ ექნება სათანადო პირობები, თუ არ

ისწავლის, არ იმუშავებს სათანადო მიმართულებით, მაშინ მას ეს უნარ-ჩვევა აღარ განუვითარდება. უნარ-ჩვევა იგივე უნარია, რომელიც ძირითადად ნასწავლია და წვრთნის შედეგადაა განვითარებული. იგი მოიცავს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს სასურველი შედეგის მიღწევას. განასხვავებენ შემდეგ უნარ-ჩვევებს: აკადემიური (კითხვა, წერა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება და სხვა), პიროვნული ურთიერთობის (მოსმენა, საუბარი, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია და სხვა) და მოტორული (ძერწვა, ხატვა, ჭიდაობა, მიზანში სროლა და სხვა).

უნარები და „ნოუ-ჰაუ“ – გულისხმობს სხვადასხვა დავალებისა და პროცედურების შესრულების უნარებს.

უნარი – ადამიანის თანდაყოლილი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობა, პოტენციალი. ადამიანის უნარების საფუძველს ქმნის გარკვეული თანდაყოლილი ნასახები, კერძოდ, ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები, ნერვული სისტემა, მემკვიდრეობითი თავისებურებები და ა.შ.; უნარი მხოლოდ შესაძლებლობის, მხოლოდ პოტენციის სახითაა მოცემული. ხოლო უნარის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიეცემა ადამიანს ამ უნარის

განვითარების შესაძლებლობა (მაგ. შესაბამისი წვრთნა, ცხოვრების პირობები და მოთხოვნები და სხვა).

უცხო ენა – ენის სახესხვაობა, რომელიც კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე არ გამოიყენება კომუნიკაციისათვის ამ ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოების მიერ. ზოგიერთი ენობრივი სახესხვაობა არ გამოიყენება ყველა ქვეყანაში არსებულ მნიშვნელოვან ჯგუფებში. ასეთი სახესხვაობები გამოიყენება მეზობელ ქვეყნებში (რომლებიც, ამის გამო, ნაწილობრივ „უცხო ენები“ არ არიან სასაზღვრო რეგიონების მოსახლეობისათვის) ან უფრო დაშორებული ან ნაკლებად ცნობილი ჯგუფების მიერ. ისინი შესაძლოა სახელმწიფოში წარმოდგენილნი იყვნენ სატელევიზიო პროგრამებში (სატელიტი, საკაბელო ქსელი, სააბონენტო ტელევიზია), კინოში, ზოგადად მიღებული პოლიტიკის მიხედვით მედიაში (დუბლირება, ხმაჩაწეული სინქრონიული თარგმანი, სუბტიტრები ეროვნულ ენაზე და ა.შ). მათი არსებობისთვის დახმარება ან ხელშეწყობა შეიძლება ოფიციალური საგანმანათლებლო ინსტიტუტების მეშვეობით (უცხოური უნივერსიტეტები, კულტურული ცენტრები და მისთ.) აღიარებული ტერიტორიაზე.

უწყვეტი განათლება – არის ფართო ცნება, რომელიც მოიცავს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ

სასწავლო აქტივობებისა და პროგრამების ფართო სპექტრს. ასეთი აქტივობები და პროგრამები შეიძლება იყოს შემდეგი: ნაწილობრივ განაკვეთზე მყოფი სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამები სხვადასხვა ხარისხის მოსაპოვებლად; პროფესიული ცოდნის ამაღლების კურსები, თანამშრომლების ტრენინგი; პირადი განვითარების ოფიციალური კურსები და სხვ.

ფოკუს-ჯგუფი – ეს არის ჯგუფური ინტერვიუს მეთოდი, რომლის დროსაც ერთდროულად რამდენიმე რესპონდენტს ვესაუბრებით და მიზანია, ხელი შევუწყოთ მათ შორის აზრთა გაცვლას (აქედან მომდინარეობს ამ მეთოდის კიდევ ერთი დასახელება – „ჯგუფური დისკუსია“). ფოკუს-ჯგუფის ჩატარება სერიოზულ მომზადებას მოითხოვს, რაც გულისხმობს თემის წინასწარ შესწავლას, გამოკვლევის პროგრამის და სადისკუსიო გეგმის შემუშავებას, აგრეთვე, დისკუსიის ჩატარების ტექნიკური მხარეების უზრუნველყოფას.

ფონოლოგიური კომპეტენცია – განიხილავს ენას, როგორც ბგერით ორგანიზაციას. ფონეტიკა, რომელიც ეხება მოვლენათა ჯაჭვს, დაწყებული სხეულის მოძრაობებიდან, რომლებიც ბგერებს აკუსტიკური საშუალებებით გადმოსცემს, დამთავრებული მათი სამეტყველო ბგერებად აღქმით. ფონოლოგიური კომპეტენციის

კომპონენტთაგან არსებითი მნიშვნელობისაა: (1) ენის ფონემების, სიტყვათა ფონემური კომპოზიციის და საუბარში წინადადებათა მახვილითა და ინტონაციით შემკობის ცოდნა. (2) ფონემებისა და პროსოდიული მახასიათებლების პროდუცირებისა და პერცეფციის უნარები არა მხოლოდ იზოლირებული სახით, არამედ სიტყვებისა და წინადადებების კომბინაციაში.

ფუნქციონალური კომპეტენცია – შემსწავლელის უნარი, ააგოს საუბარი სხვადასხვა საკომუნიკაციო მიზანთან შეთავსებით ენობრივ დავალებათა შესრულების პროცესში. ფუნქციათა სხვადასხვაობა განაპირობებს სხვადასხვაობას ენის გამოყენებაში.

ფუნქციონალური სოციოლინგვისტიკა – შეისწავლის ენას მისი მოხმარების სფეროებისა და მატარებლების სპეციფიკის გათვალისწინებით.

შემოქმედებითი აზროვნება – არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა. იგი არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა; შემოქმედებითი აზროვნება ხასიათდება იდეების მრავალრიცხოვნებით, მრავალფეროვნებით (მოქნილობა, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვა), მათი სიახლით (ორიგინალობით) და გარდაქმნის უნარით (მველი იდეების საფუძველზე ახლის შექმნა); ხშირად შემოქმედებით აზროვნებას უკავშირებენ ხოლმე ხელოვნების დარგში მოღვაწე

ადამიანებს. ამას განაპირობებს ის, რომ ამ დარგში შემოქმედებითობა არის გარანტი, რომ ხელოვანი ქმნის თვითმყოფად ნაწარმოებს. შემოქმედებითი აზროვნება მნიშვნელოვანია ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას, რადგან არასტანდარტული პასუხების მიგნების საშუალებას იძლევა.

შემსწავლელის ავტონომია – სწავლების სპეციფიკური სტილი (ხშირად შეთავაზებული ენის სწავლის პროგრამაში), რომელიც ცდილობს დაეხმაროს მოსაუბრეს, გაიგოს, როგორ განახორციელოს საკუთარ თავზე კონტროლი ენის სწავლისას; მისი მიზანია სწავლის სტრატეგიებისა და მათი გამომუშავების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება.

შეფასება¹ – მიმდინარე ან უკვე დასრულებული აქტივობის, პროექტის, პროგრამის ან პოლიტიკის განხორციელების და შედეგების სისტემური და ობიექტური დადგენა. მისი მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მოხდა დაგეგმილი ამოცანების მიღწევა, დროში რამდენად მყარი და ეფექტიანი შედეგებია მიღწეული. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და გამოყენებადი, უნდა ითვალისწინებდეს მონიტორინგის შედეგებს და იძლეოდეს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

შეფასება² – რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის ან ვინმეს შესაბამისობის/მიმართების დადგენა წინასწარ განსაზღვრულ ნიშან-თვისებებთან (კრიტერიუმებთან). შეფასების მიზანია იმის გარკვევა, რამდენად კარგად ასწავლის მასწავლებელი და რამდენად კარგად სწავლობენ მოსწავლეები. შეფასებას აქვს ორი განსხვავებული ფუნქცია: სწავლის პროცესის შეფასება და პროდუქტის/შედეგების/მიღწევების შეფასება. პირველი გულისხმობს ინფორმაციის დაგროვებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო მეორე – შედეგების აღნუსხვას. შეფასების ფორმებია: განმავითარებელი (მიმდინარე), განსაზღვრებითი (შემაჯამებელი) და დიაგნოსტიკური.

შთამომავლობის ენა – იხ. პირველი ენა.

ჩაფლობა – ეს არის საგნის პარალელურ სწავლება მშობლიურ (ე1) და მეორე (ე2) ენებზე ალტერნატიულად; ე2 გამოიყენება, როგორც საკლასო მუშაობის (ინსტრუქციების) ენა, ე1 კი – როგორც სახელმძღვანელოს ენა, რომელიც გამიზნულია სახლში მუშაობისთვის.

ჩაფლობის პროგრამა – ამგვარ პროგრამად განიხილავენ სწავლების ისეთ მოდელს, როდესაც მეორე ენა (ე2) ერთდროულად საგანიცაა და სწავლების ენაც (ე1 ენაზე არც ინსტრუქციები ივარაუდება და პრინციპულად გამორიცხებულია სწავლების პროცესში თარგმანის მოშველიება).

ჩვეულებრივი ენა – იხ. პრინციპული ენა.

ჩვევა – მრავალჯერადი გამეორებით შეძენილი მეტად თუ ნაკლებად ავტომატიზებული მოქმედება ან ქცევა. მოქმედების ავტომატიზება იმით გამოიხატება, რომ ჩვევის შემადგენელი მოძრაობები, მოტორული იმპულსები მიმდინარეობს ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ან თანამონაწილეობის დაბალი ხარისხით. ჩვევას ადამიანი იძენს როგორც გარკვეული მოქმედების დასასწავლად მისი მიზანდასახული გამეორების შედეგად, ასევე მაშინ, როცა ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთებზე ადამიანს უწევს გარკვეული მოქმედებების ხშირი გამეორება. განასხვავებენ მოტორულ და გონებრივ ჩვევებს. მეორე მხრივ, ჩვევებს აჯგუფებენ შინაარსის მიხედვითაც. გამოყოფენ საყოფაცხოვრებო (ჩაცმა-დახურვის, დანა-ჩანგლის ხმარების ა. შ.), ჰიგიენურ (კბილების გახეხვის, ხელების დაბანის), სპორტულ ჩვევებს (ველოსიპედის ტარება, ცურვა) და ა. შ.

ცოდნა – რაიმეს შესახებ ინფორმაციის ქონა და რაიმე საქმის ან მოქმედების შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობა. ბ. ბლუმის მიხედვით, ცოდნა განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა.

ძირითადი მოსახლეობა (მაჟორიტეტი) – ხალხი, რომელიც ცხოვრობს თავის ეთნიკურ სამშობლოში –

ქვეყანაში, რომლის უმრავლესობასაც წარმოადგენს ეს ეთნიკური ჯგუფი.

წარმოშობის ენა – ენობრივი სახესხვაობა, ხშირად პირველი ენა იმ პირებისა და ჯგუფებისა, რომლებიც გადავიდნენ სხვა სახელმწიფოში საცხოვრებლად. ამ ენის მომხმარებლები უნდა ადაპტირდნენ ლინგვისტურად ახალ გარემოსთან და ისწავლონ თუნდაც ნაწილობრივ მასპინძელი ქვეყნის ენა (ან ენები).

წერა – წერითი პროდუცირებისას (წერისას) მომხმარებელი ახდენს ტექსტის პროდუცირებას წერილობითი სახით, რომელიც აღიქმება ერთი ან მეტი მკითხველის მიერ.

წერილობითი ენა – განათლების სისტემის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც მარტივად ზეპირი ან სალაპარაკო ვერსიის წერით გარდაქმნად მიაჩნიათ. ფაქტობრივად ენობრივი სახესხვაობების წერითი ფორმები არ არის დამახასიათებელი სკოლებში, მაგრამ სწავლება აუცილებელია გადაცემის უზრუნველსაყოფად. წერის უნარი ბუნებრივად არ მიეცემათ და მოითხოვს სწავლების სხვადასხვა მოცულობებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება წერის სისტემის სწავლას (ანბანი ან იდეოგრაფები), რომელიც შესაძლოა რთული იყოს, როგორც ამოცნობის (ხმამალა კითხვა) და ასევე შექმნის (ჩვეულებრივი მნიშვნელობით წერა) თვალსაზრისით. უპირველესი მიზანია,

ტექსტების სწორი მეტყველების წესების მიხედვით გაგება და შექმნა, რაც არ უნდა ავურიოთ გრამატიკის წესებში. ეს უნარი გადამწყვეტია სოციალური და პროფესიული განვითარებისათვის.

წინარე განსჯა – როგორც თავად სიტყვაც მიუთითებს, ეს არის იდეა, რომელიც წარმოიშობა ჯერ კიდევ განსჯამდე. წინარე განსჯა არის ანტიპათიური განწყობა, რომელიც ეფუძნება მცდარ განზოგადებას. ეს განწყობა შეიძლება იგრძნობოდეს ან იყოს გამოხატული. აღნიშნული ანტიპათიური განწყობა მიმართულია გარკვეული ჯგუფის ან ამ ჯგუფის რომელიმე წევრის მიმართ.

ხალხის ჯგუფი – ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ საერთო წარმოშობა აქვთ (საერთო წინაპრები და ტერიტორია, საერთო კოლექტიური მემსიერება).

ხალხური ენა – ხანდახან გამოიყენება იმ ენობრივ სახესხვაობებთან მიმართებით, რომლებიც უმცირესობათა სახესხვაობებია – არა მოლაპარაკეთა რიცხვის გამო, არამედ იმიტომ, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ის გამოიყენება, სხვა, უფრო პრესტიჟული სახესხვაობა გამოიყენება გარკვეულად შეზღუდულ, მაგრამ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში.

ჯგუფი – იმ ადამიანთა ნაკრები, რომლებიც თვისებრივად დაკავშირებულნი არ არიან რაიმე კონკრეტულ

მიმართულებასთან ან მრავალფეროვნებასთან. პიროვნება (ინდივიდი) შესაძლოა ეკუთვნოდეს ერთდროულად ორ ან სამ ჯგუფს, მაგრამ მოიაზრება, რომ პიროვნება (ინდივიდი), როგორც წესი, ეკუთვნის მხოლოდ ერთ ეროვნებას (ხალხის ჯგუფს) ან საზოგადოებას (იხ. აგრეთვე საზოგადოება).

ჰიგიენური ჩვევები – იხ. ჩვევა

ჰომოფონური სწავლის გარემო – ენები შესაძლებელია ისწავლებოდეს ადგილებში, სადაც სამიზნე ენაზე ჩვეულებრივ ლაპარაკობენ ან ლაპარაკობს უმრავლესობა.

ლიტერატურა

- ბეკო - ჟან-კლოდ ბეკო, ენები და ენათა მრავალფეროვნება. ევროპის საბჭო; თბილისი, 2008;
- განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის, პირველი ნაწილი; თბილისი, 2007;
- განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის, მეორე ნაწილი; თბილისი, 2008;
- ევროპის საბჭოს ენათა სწავლების ინსტრუმენტები; ევროპის საბჭო, დიდიე; თბილისი, 2008.
- ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, ევროპის საბჭო. თბილისი, 2008;
- ენციკლოპედია ქართული ენა, თბილისი, 2008;
- ევზკ - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები - შესწავლა, სწავლება, შეფასება, ევროპის საბჭო; თბილისი, 2008;
- ვოლმერი - ჰელმუტ ვოლმერი, ენობრივი განათლების ზოგადევროპული ინსტრუმენტი, ევროპის საბჭო; თბილისი, 2008;
- კიკვიძე - ზ. კიკვიძე, სოციოლინგვისტიკურ ტერმინთა გლოსარიუმი; პროექტი: ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში; ქუთაისი, 2008.
- მარტინიუკი - ვოლდემარ მარტინიუკი, ენობრივი კომპეტენციების ევროპული სტანდარტები; ევროპის საბჭო. თბილისი, 2008;
- მრავალენოვანი განათლება ევროპაში; ევროპის საბჭო. თბილისი, 2008;
- რიაგენი, ლიუდი - პადრაიგ ო' რიაგენი, ჯორჯ ლიუდი, ბილინგვური განათლება; ევროპის საბჭო. თბილისი, 2008;
- ჩაჩანიძე - ი. ჩაჩანიძე, ენობრივი სიტუაციის პრობლემა მე-20 საუკუნის სოციოლინგვისტიკაში (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი, 2005.
- ჯორბენაძე - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი: მეცნიერება, 1989.
- Ferguson, Ch. *Language Structure and Language Use*. Stanford: Stanford University Press, 1971.

Контактологический энциклопедический словарь-справочник. Выпуск I:
Северный регион. Языки народов Севера, Сибири и Дальнего Востока
в контактах с русским языком. Москва: АЗЪ, 1994.
Common European Framework of Reference for Languages: Learning, Teaching,
Assessment. Angļu – latviešu TERMINU SARAKSTS; Riga, 2008.